MES 7 21 0000245495

17/03/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 01.03.2021
სხდომის დაწყების დრო: 16:12 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:23სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
19. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

6	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირაკლი ფორჩხიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის დეკანი	I, II
2.	კონსტანტინე ჩოკორაია		სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
3.	შალვა პაპუაშვილი		„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I, II
4.	კონსტანტინე კუბლაშვილი		„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II
5.	ზაზა მეიშვილი		„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II
6.	დავით მაისურაძე		„კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I, II
7.	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
8.	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	III
9.	ვახტანგ წივწივაძე		უნივერსიტეტის კანცლერი	III
10.	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11.	ხათუნა კაჭარავა		„მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
12.	ზაზა ცოტნიაშვილი		აფილირებული პროფესორი	III
13.	მარინა ხიზანიშვილი		აფილირებული ასოცირებული პროფესორი	III

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ლევან მოსახლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2		(ჩაერთო „ზუმით“)	I, II

	გიორგი მახარობლიშვილი		
3	სოფო ჩაჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ნინო ხუბულია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ლელა ფირალიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ანა ქეშელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:12 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№58, 09/23/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	სამართლის ბაკალავრი
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №32
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო (ბიზნეს) სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№298, 08/02/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეშვიდე
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	კერძო სამართლის მაგისტრი
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0421 - სამართალი

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №32
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მოსახლიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, როგორც „სამართლის“ საბაკალავრო, ასევე „კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ სთოვა, რომ განხილვა დაწყებულიყო საბაკალავრო საფეხურით და მოუწოდა რეგლამენტის დაცვისკენ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მოსახლიშვილმა თანხმობა განაცხადა რეგლამენტის დაცვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანამანთლებლო პროგრამების შეფასების მიზნით, რის შედეგადაც „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მათ შეიმუშავეს 2 რეკომენდაცია და 17 რჩევა, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე კი 3 რეკომენდაცია და 17 რჩევა.

„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.2 სტანდარტთან მიმართებაში
1. რეკომენდირებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სწავლის ყველა შედეგი;
2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა უკვე გადახედილი სწავლის შედეგების საფუძველზე მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, აღნიშნული რეკომენდაცია ჩამოყალიბდა, რადგან, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, სადაც 15 სწავლის შედეგია ჩამოყალიბებული ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ შეფასების მექანიზმი და შეფასების გეგმა გარკვეული თვალსაზრისით შეუსაბამოა ერთმანეთთან, მითითებული იყო სხვადასხვა პერიოდი, შემდეგ ყოველ სემესტრული, ყოველ წლიური და ა.შ. გაფორმებული, მეორე დოკუმენტში კი იყო ხუთ წლიან ციკლზე მორგებული, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნული ორი რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო გაცემული, რათა მოსულიყო შესაბამისობაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება რჩევებშიცაა აღნიშნული, პროგრამის სწავლის შედეგები ძალიან გავს დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგებს, ამიტო უკეთესი იქნება თუ გადაიხედება ამ თვალსაზრისით და სხვანაირი სწავლის შედეგები ჩამოყალიბდება.
მან აღნიშნა, რომ რჩევები გაცემულია ყველა სტანდარტთან მიმართებაში და მხოლოდ იმ ლოგიკით, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ჩარეულიყო აკადემიური თავისუფლების ნაწილში, რეკომენდაციების დიდი ნაწილი დასკვნაში რჩევების სახითაა წარდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული ერთ-ერთი რჩევა:
1.1 სტანდარტთან მიმართებაში:
· სასურველია დაკონკრეტდეს პროგრამის მესამე მიზანი, რამდენადაც სამართლის საბაკალავრო პროგრამა ზოგადად კომუნიკაციას არ უნდა უზრუნველყოფდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. შესაბამისად, ისევე როგორც დარგობრივ მახასიათებელშია მოცემული (სამართლებრივი პრობლემების), პროგრამის მიზანშიც უნდა იქნეს სამართალთან დაკავშირებული საკითხის თაობაზე სპეციალისტთან თუ არასპეციალისტთან კომუნიკაციის უნარი;
მისი თქმით რჩევები ასევე შეეხებოდა პრაქტიკულად ყველა სტანდარტს, თუმცა მათზე არ გაამახვილა ყურადღება, რადგან საბჭოს წევრებისთვის უკვე ცნობილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს დროის გამოყოფისთვის, ექსპერტთა ჯგუფს - თანამშრომლობისთვის, რადგან აღნიშნულ პროცესს დაწესებულება უყურებს მნიშვნელოვან საფეხურად დიაგნოსტირებისათვის და მათი მოსაზრებით ძალიან კარგია აღნიშნული პროცესის გავლა, რომელსაც დაწესებულების წარმომადგენლები არ უყურებენ მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით. ასევე მადლობა გადაუხადა ცენტრს შეხვედრების ორგანიზებისათვის.

მან წარადგინა დაწესებულების წარმომადგენლები, სხდომაზე დამსწრე პირები: ნინო ჟვანია (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), კონსტანტინე კუბლაშვილი და შალვა პაპუაშვილი (სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები), დავით მაისურაძე (კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი), კონსტანტინე ჩოკორაია (სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი).

სამართლის სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ დაწესებულებისათვის ორივე პროგრამა მნიშვნელოვანია, საბაკალავრო პროგრამა არის მათი ძირითადი პროგრამა, რადგან ყველაზე დიდი კონტიგენტი მოდის აღნიშნულ პროგრამაზე, ხოლო რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას ეს არის უნივერსიტეტის ყველაზე ძველი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისად ორივე პრიორიტეტული მიმართულებაა. მისი თქმით 2011 წლის აკრედიტაციის შემდეგ ორივე პროგრამა იცვლებოდა და უმჯობესდებოდა დინამიკაში, აღნიშნული პროცესი მუდმივად შენარჩუნებულია, ასევე გათვალისწინებულია 2011 წლის აკრედიტაციის დროს გაცემული რჩევები და ორივე პროგრამა გაუმჯობესებული სახით წარმოადგენს მიმართულების პრიორიტეტებს, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლის სკოლისათვის, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება, როგორც სასწავლო საგნების გამრავალფეროვნების მიმართულებით, ასევე საგნებში უშუალოდ კომპონენტების გაძლიერებითა და პრაქტიკოსი ლექტორების მოწვევის თვალსაზრისით. სხვა მიმართულებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და ეს პროცესი გაგრძელდება მომავალშიც.

დეკანმა, რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელთა ხედვის შესახებ სასაუბროდ, სიტყვა გადასცა სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, კონსტანტინე ჩოკორაიას.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კონსტანტინე ჩოკორაია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ორივე რეკომენდაცია დაკავშირებულია ერთმანეთთან:

პირველი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების გადახედვას და სწავლის შედეგების მექანიზმებს, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ სამართალი, როგორც რეგულირებადი პროფესია და სამართლის საბაკალავრო პროგრამა შექმნილია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. მისი თქმით, გახლდათ წევრი სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ჯგუფისა და შემდეგ დარგობრივ საბჭოსი, რაც ნიშნავს, რომ დოკუმენტის შექმნაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტია. მასში ასახულია მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და ერთ-ერთ პუნქტში განსაზღვრულია, რომ მინიმუმ ეს ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული პროგრამაში, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებმა პროგრამაზე მსჯელობისას იმსჯელეს ზემოაღნიშნულ საკითხზე და კონკრეტული სტანდარტი იმავე სიტყვებითა და იმავე ფორმულირებით ჰქონდათ ჩამოყალიბებული პროგრამაში, შესაბამისად პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და საგნები დაკავშირებულია იმ მოთხოვნებთან, რომლებიც განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებელით. რა ფორმულირებითაც არ უნდა შეიცვალოს დაწესებულებამ პროგრამის სწავლის შედეგები,

გაამსხვილოს თუ რამდენიმე სხვადასხვა ფრაზით ჩამოაყალიბოს, ორ პუნქტად დაწიოს 15 სწავლის შედეგი თუ სხვა, ყველა შემთხვევაში თანხვედრაში უნდა იყოს დარგობრივ მახასიათებელთან და პროგრამის სწავლის შინაარსი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს იმ სწავლის შედეგებთან, რომლებიც განსაზღვრულია დარგობრივ მახასიათებელში. აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის ნაწილში სრულად თანხვედრაშია აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები და ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით სწავლის შედეგების სხვაგვარად ჩამოყალიბება აბსოლუტურად გემოვნების საკითხია და ცდება სტანდარტის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხს. ასევე, სწავლის შედეგებთან არის მიბმული შეფასების მექანიზმები, რომელთან დაკავშირებითაც იყო გაცემული რეკომენდაცია, მისი მოსაზრებით სწავლის შედეგების შეცვლის შემთხვევაში, შესაძლებელია დღის წესრიგში დამდგარიყო გეგმის გადახედვა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მექანიზმები არის ძალიან კომპლექსური, მოიცავს ბევრ საკითხს და მოიცავს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციების დამუშავებას სხვადასხვა ეტაპზე, მაგ., სტუდენტების განთესვის მაჩვენებელები, სწავლის შედეგების შეფასება, სხვადასხვა უცხოურ პრაქტიკასთან შედარება, მთელ ციკლში, რომელშიც განხორციელდება მთელი საბაკალავრო პროგრამა. მისი მოსაზრებით ინტერპრეტაციის განსხვავება უფროა, ვიდრე შეუსაბამობა შეფასების მექანიზმებსა და გეგმას შორის, რადგან ერთ-ერთი პუნქტი, რომელზეც დასკვნაშია საუბარი, ეს არის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული, რაც ხდება ოთხწლიანი ციკლის დასრულების შემდეგ, შესაბამისად თვითონ კონკრეტული საგნით დადასტურებული კონკრეტული სწავლის შედეგთან დაკავშირებული ინფორმაცია შემოწმდება იმ სემესტრში, რომელშიც კონკრეტული სასწავლო კურსი იკითხება, ამიტომ მისი მოსაზრებით უფრო ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული განსხვავებაა, რადგან დანარჩენ შემთხვევაში, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სწავლის შედეგების შეფასება არ არის ერთ დღიანი პროცესი, არამედ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში მიმდინარეობს და გულისხმობს ყველა სემესტრის დასრულების შემდეგ სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავებას და ვიდრე დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულ მექანიზმებს დაამტკიცებდნენ, წინა მექანიზმების ფარგლებში ყოველ სემესტრულად ხდებოდა ინფორმაციის დამუშავება, ამ ეტაპზე დასრულდა წინა სასწავლო სემესტრი და აბსოლუტურად ყველა ინფორმაციის დამუშავება მოხდება, მათ შორის აკადემიური პერსონალთან, სტუდენტების მიღწევებთან, განთესვის მაჩვენებლები, რამდენი სტუდენტი გადავიდა/გადმოვიდა მობილობით და ა.შ. ინფორმაცია დამუშავდება, ეს არის მუდმივი პროცესი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ჟვანია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ხუთწლიან ციკლს, რაზეც საუბარი იყო დასკვნაში და ექსპერტებმა შეაფასეს საბაკალავრო საფეხურზე, კითხვაზე თუ რატომ ხუთწლიანი ციკლი, მან განმარტა, რომ საბაკალავრო პროგრამა სტანდარტულად არის ოთხწლიანი და დამთავრების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში დაწესებულება ახორციელებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას და ეფექტურობას ზომავენ კურსდამთავრებულთა უკუკავშირიდან გამომდინარე, ამიტომ აღებულია არა ოთხწლიანი ციკლი, არამედ სრული ხუთი წელი, თუმცა პროგრამის შეფასების მექანიზმებში მითითებულია, რომ ხუთი წლის განმავლობაში მინიმუმ ერთი სწავლის შედეგი ერთხელ მაინც უნდა შეფასდეს, რაც არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება ელოდება ხუთ წელს, ანუ სანამ დამთავრდება და შემდეგ აფასებენ, ისინი ყოველ წლიურად/სემესტრულად ადგენენ კონკრეტულ გეგმას, რომელი სწავლის შედეგი რის საფუძველზე უნდა შეფასდეს, რაც მიმდინარეობს ხუთი წლის განმავლობაში, ეს დეტალი მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანია, რადგან უფრო მარტივი სურათი დაიხატოს თუ როგორ კეთდება პროგრამის შეფასება.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით აღნიშნულ რეკომენდაციაში იყო ტექსტუალური გაუგებრობა, რადგან

აშკარაა ხუთი წლის ბოლოს არ ხდება შეფასება, არამედ სემესტრულად არის საჭირო და სავარაუდოდ აღნიშნული რეკომენდაცია გამოიწვია ტექსტუალურად ჩანაწერმა, რადგან სხვა მხრივ დაწესებულება ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც რეკომენდაციაშია განსაზღვრული და აღნიშნული პრობლემა ნამდვილად არ დგას.
სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, შალვა პაპუაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის შედგენის დროსაც დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით ხდებოდა პროგრამის აწყობა, გამსხვილება/გაყოფა, ფორმულირება სხვადასხვანაირი იყოს, თუმცა მისი მოსაზრებით პროგრამა ყველანაირად პასუხობს დარგობრივ მახასიათებლებს, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლების განმარტება შესაძლებელია საკმარისი იყოს.
საბჭოს თავმჯდომარემ ამოიკითხა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან ფრაზა, „ფაქტობრივად იდენტურია, იმეორებს დარგობრივი მახასიათებლის“, რაც გულისხმობს, რომ სიტყვა-სიტყვით იმეორებს.
სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ზაზა მეიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების დასაწყისიდანვე იყო ჩართული, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს წარმოდგენილი რეკომენდაციებისათვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შესაძლებელია ინტერპრეტაციის პრობლემა იყოს, რადგან არც ახალი ველოსიპედი მოუგონიათ და დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით არის გაწერილი.
შეფასების სისტემასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ისედაც ასე ხდება არა მხოლოდ ახალ პროგრამასთან მიმართებაში, არამედ არსებულ პროგრამებთან მიმართებაში, სემესტრულად ყოველი სემესტრის გასვლის შემდეგ ხდება პრობლემებისა და წარმატებების შეფასება, ამიტომ მისი მოსაზრებით შესაძლებელია აქაც ინტერპრეტაციის პრობლემა უფრო იყოს, ვიდრე შინაარსობრივი ხასიათის.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რადგან გაიჟღერა ფრაზამ, რომ შესაძლებელია იყოს გარკვეული ტიპის გაუგებრობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მოსახლიშვილმა განაცხადა, რომ იგივე რეკომენდაცია გაწერილია სამაგისტრო პროგრამაშიც, შესაბამისად განმარტება გავრცელდება სამაგისტრო საფეხურზეც. მისი განმარტებით დარგობრივ მახასიათებელში მოცემულია, რომ მასში აღნიშნული სწავლის შედეგები არის მინიმალური მოთხოვნები, უნივერსიტეტს კი შეუძლია, რომ საერთაშორისო პრაქტიკასა და თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განსაზღვროს სხვა შედეგები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ იმეორებს და ახალსაც არაფერს ამბობს, ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია, რომ უკეთესია, თუ პროგრამას ექნება ისეთი გამოკვეთილი შედეგები, რომელიც აღნიშნული პროგრამისთვის შეიძლება იყოს სპეციფიური და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული და მითუმეტეს, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს იმის რესურსი საერთაშორისო პრაქტიკა ასახოს პროგრამაში.
მეორე საკითხთან დაკავშირებით მისი განცხადებით დასკვნაში მითითებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ერთი ციკლით და შედეგების შეფასების გეგმაში სხვა ციკლებია მითითებული და სწორედ ამას ეხება ექსპერტთა რეკომენდაცია, რომ თუ გადაიხედება სწავლის შედეგები და მეორე, გეგმისა და მექანიზმების შესაბამისობაში მოყვანა იქნება საჭირო, რადგან სხვადასხვა ციკლებია მითითებული, ბუნებრივია ისინი შესაძლებელია ერთმანეთს ავსებდნენ, მაგრამ რაც უფრო კარგად იქნება ჩამოყალიბებული უკეთესი იქნება პროგრამისათვის, აქედან გამომდინარე მიღეს რეკომენდაციების სახე და არა რჩევის.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ეს არის იმ შედეგების მინიმალური თამასა, რომელზეც კონკრეტული დარგი უნდა გავიდეს, რეალურად უნივერსიტეტებისთვის არ კრძალავს, რომ მინიმალური თამასა ჰქონდეს, დაინტერესდა თუ რატომ გადაწყვიტა ექსპერტთა ჯგუფმა ყოფილიყო რეკომენდაცია და არა რჩევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მოსახლიშვილმა განმარტა, რომ სწორედ ამ საკითხზე საუბრობდა, რადგან პრაქტიკულად იმეორებს დარგობრივ მახასიათებელს და სიახლეს ფორმულირების/შედეგობრივი თვალსაზრისით არ სთავაზობს ამიტომ გადაწყვიტეს გაეცათ რეკომენდაციის სახით, როდესაც დაწესებულებას გაეგზავნა საწყისი რეკომენდაციები, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა მათ მიერ გაცემული პასუხი, თუმცა რეკომენდაციების ნაწილი მაინც დარჩა, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რადგან დარგობრივ მახასიათებლის ერთ-ერთ დამახასიათებელი რეგულირებად პროფესიებში არის, რომ თავისი სპეციფიკა წარმოადგინოს, ხაზი უნდა გაუსვას რისთვის არის, თუ ყველა უნივერსიტეტი ერთნაირად გადმოიტანდა დარგობრივს მარტივი მისახვედრია შედეგი, ამიტომ დარჩა აღნიშნული რეკომენდაცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული დაწესებულების პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ კითხვა არ ეხება წარდგენილ რეკომენდაციებს, იგი გაეცნო გადაგზავნილ მასალებსა და დოკუმენტებს და მისი ყურადღება მიიპყრო მეოთხე სტანდარტის ბოლო პუნქტმა, ფინანსური მასალებით უზრუნველყოფის ნაწილმა, წარდგენილია 2020 წლის ბიუჯეტი და ექსპერტების დასკვნაში ამავე ბიუჯეტის მცირე ანალიზიც არის გაწერილი, ბუნებრივია ეს არის ერთი წლის ბიუჯეტი, პროგრამა 2011 წლიდან აკრედიტებულია და მას აქვს თავისი რესურსები და ა.შ. თუმცა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნივერსიტეტი შემოდგომაზე ქმნის მომავალი წლის ბიუჯეტს, რადგან ეს ცენტრალიზებულად ხდება მისი დაგეგმვა. იგი დაინტერესდა, რამდენად გაეცნნენ ექსპერტები აღნიშნულ ბიუჯეტს და რატომ არ იქნა მომავალი წლის ბიუჯეტი განხილული.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით სურს გასცეს რჩევა. განმარტა, რომ როდესაც გაეცნო ორივე პროგრამას, რომელსაც წარმოდგენილი სკოლის ბიუჯეტი ეხება, გარდა ამ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა დაწესებულებას აქვს მოქმედი ორი აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა სამართლის მიმართულებით და მან რჩევის სახით აღნიშნა, რომ როდესაც სამი სამაგისტრო პროგრამა ერთად ხორციელდება ფაკულტეტზე, მაგისტრატურა კი კვლევაზეა ორიენტირებული, იქნებ სჯობდეს მაგისტრატურის ნაწილის ფინანსები ცალკე ფორმით იყოს წარდგენილი და დაკონკრეტდეს ის ფინანსები თუ რა რესურსებით არის უზრუნველყოფილი აღნიშნული მდგრადობა/ განვითარება, შესაბამისად ეს შეეხებოდა ორივე პროგრამას, რათა გამიჯნული ყოფილიყო წარდგენილი თანხები, როგორ ნაწილდება სამ სამაგისტრო პროგრამაზე და საბაკალავრო პროგრამას რა საჭიროებები ახლავს და როგორ განვითარდება პროგრამები ბიუჯეტის თვალსაზრისით.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს, ორივე მხარესთან მიმართებით ჰქონდა კითხვა, თუმცა ექსპერტებთან უფრო, რადგან მათ აქვთ ლეგიტიმაცია უპასუხონ მათსავე დასკვნასთან დაკავშირებულ კითხვაზე თუ რა იგულისხმეს მასში, როდესაც წერია არ არის და გადასახედია ყველა შედეგი, შთაბეჭდილება რჩება, რომ შესაბამისობაში არ არის დარგობრივ მახასიათებლებთან, მაგრამ ასე არ არის და ექსპერტების მოსაზრებით, პრობლემა არის ის, რომ დაკმაყოფილებულია მინიმუმი, თუმცა იმის ზევით, რაშიც უნივერსიტეტს აკადემიური თავისუფლება ჰქონდა, არ ისარგებლა ამით და არ შესთავაზა სტუდენტებს უფრო მეტი, მაგრამ დარგობრივი მახასიათებლის მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, იგი დაინტერესდა თუ რამდენად სწორად გაიგო აღნიშნული. მისი თქმით ფრაზა „გადასახედია ყველა შედეგი“ ნიშნავს, რომ შეუსაბამობაა, მაშინ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან კი არა, არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან იქნებოდა. მისი მოსაზრებით გემოვნების საკითხია, თუ როგორ ჩამოაყალიბებს უნივერსიტეტი თავის მახასიათებლებს, ზოგიერთი ალბათ თავს დაიზღვევს და რაც არის მოცემული შედეგებში იმას გადმოსცემს.

რაც შეეხება უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მან განაცხადა, რომ კონსტანტინე ჩოკორაიასთან ერთად იყო დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების ჯგუფში და იციან თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა. იგი დაინტერესდა კონკრეტულად რა ნაბიჯები გადადგა უნივერსიტეტმა, რა შეცვალა იმისთვის, რომ ახალ დარგობრივ მახასიათებლებს მორგებოდა აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ რა სამეცნიერო პოტენციალის პროფესურა არის უნივერსიტეტში, ანუ რა კვლევითი პოტენციალი აქვს უნივერისტეტს, რომ შემდეგ პროფესორს ეყრდნობა კვლევა, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ CV-ებში ვერ იპოვა სამეცნიერო ნაშრომები და იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს ენდომებოდა ენახა რა იკვლია პროფესორმა და როგორი მკვლევარია ამ ეტაზე, შემდეგ კი მას აირჩევდა ხელმძღვანელად, სტუდენტს თუ ექნება შესაძლებლობა, რომ ნახოს რა სტატიები აქვს გამოქვეყნებული პროფესორს? რადგან საბჭოს წევრმა მოინდომა, მაგრამ ვერ ნახა. პირველ რიგში, სხვადასხვა ფორმებში იყო გაკეთებული პეროსნალის პირადი მონაცემები, ზოგი უნივერსიტეტის სტანდარტით იყო, ზოგი არა, ამ კუთხით უნიფიცირება ცუდი არ იქნება, უფრო მარტივად აღსაქმელად, რათა დაენახათ, მაგ., სად აქვს კვლევითი პრიორიტეტები რომელიმე მკვლევარს, ეს ყველაფერი უნდა იყოს არა საბჭოსთვის, არამედ სტუდენტებისთვის, ამიტომ მისი რეკომენდაცია იქნება, რომ წარდგენილი იყოს პროფესორების კვლევითი ინტერესები, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება იმაზე, თუ რა გამოაქვეყნა, გასაგებია, რომ პრაქტიკოსი იურისტი ბევრია და ესეც აუცილებელი კომპონენტია, თუმცა განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტი.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დამსწრე პირებს, ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ 95% გაწერილია ხელფასზე, ანუ პროგრამის ფინანსური მდგრადობა თითქოს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩნდება კითხვა პროგრამის განვითარების შესაძლებლობებზე, რჩევის სახით თუ იქნება შესაძლებელი იქნებ ხელფასი იყოს გაშლილი, რა მიდის როგორც აკადემიურ პერსონალზე, ასევე მოწვეულსა და ადმინისტრაციულ პერსონალზე, რადგან ეს შექმნიდა უფრო მეტ სიცხადეს, თუმცა ეს დაწესებულების გადასაწყვეტია.

საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა პერსპექტივების ანალიზზე, რომელიც არის მრჩეველთა საბჭოს ორ წევრთან ჩაწერილი ჯგუფური ინტერვიუ, მისთვის გაუგებარია, მხოლოდ ეს არის შრომის ბაზრის ანალიზი თუ სხვა დოკუმენტიც არსებობს, რომლითაც შესწავლილია შრომის ბაზარი, ხოლო ზემოაღნიშნულ ორ პატივსაცემ ადამიანს, რომელთაც ძალიან მაღალი კომპეტენცია აქვთ, მათთან მოხდა დაზუსტება იმ მიგნებების, რაც შრომის ბაზრის კვლევაში აღმოაჩინეს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს. პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რადგან ექსპერტების რჩევაც იყო, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით პროგრამის დანართად წარდგენილი სწავლის შედეგების მიზნებთან და საგნებთან შესაბამისობის რუბრიკასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რა პრინციპით შემუშავდა აღნიშნული რუბრიკა, გასაგებია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით გაიწერა და ზოგადად/კონკრეტულად დარგობრივი მახასიათებლის შედეგებია გადატანილი, მაგრამ უცნობია რა პრინციპით გაიწერა რუბრიკა, რადგან ცალკეულ საგნებზე გადახედვის შემდეგ ცალკეული სასწავლო კურსის მიზნებს, მათ ფარგლებში მისაღწევ შედეგებსა და რუბრიკაში მონიშნულ სწავლის შედეგებს, რომელი სასწავლო კურსი რა სწავლის შედეგზე გადის მცირე აცდენაა, არ ემთხვევა კურსის მიზანი და სწავლის შედეგში განთავსებული ინფორმაცია ერთმანეთს და მითუმეტეს რუბრიკაში მონიშნული შედეგი საერთოდ ღიად რჩება, მაგ., რა პრინციპით არ გადის მეთერთმეტე სწავლის შედეგზე (სტუდენტი შეძლებს ზეპირი და წერილობითი სახით კომუნიკაციის დამყარებას სპეციალისტებთან და არა სპეციალისტებთან) სასწავლო კურსი „შრომის სამართალი“ და

სასწავლო კურსის სილაბუსებში მიზანში წერია, რომ განუვითარებს აღნიშნულ უნარს, თუმცა სწავლის შედეგებში დაფიქსირებული მიზანი რუბრიკაში მონიშნული არ არის. საბჭოს წევრი დაინტერესდა რატომ არის ასეთი შეუსაბამობა, ტექნიკური ხარვეზია თუ სხვა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვებზე პასუხის გასაცემად სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.
სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს საინტერესო კითხვებისათვის. ბიუჯეტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აქვთ კონსოლიდირებული ბიუჯეტი, რაც ნიშნავს რომ დგინდება საუნივერსიტეტო ბიუჯეტი, სადაც ითვალისწინებენ კონკრეტული სკოლის ხარჯვით ნაწილს, როგორც ხედავენ სკოლის წარმომადგენლები მათ საჭიროებებს, სადაც ძირითადად წარდგენილია სახელფასო ნაწილი და არა მხოლოდ აღნიშნული. დეკანი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ეს არის მოცემულობა, რადგან სკოლას მის ფარგლებში უწევს ოპერირება, მაგრამ ამავე დროს განვითარებისთვის, მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებზე არ არის საუბარი, ასევე საუბარია თუ როგორია ოპერირებისთვის საჭირო ბიუჯეტი და მისი მდგრადობისთვის საჭირო ძირითადი პარამეტრები. ასევე, კვლევითი მიმართულებით ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის პროექტებში და ახორციელებენ სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, ასეთი სახით შემოსული თანხები კი ცალკეა გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისათვის.
დაწესებულების დეკანმა აღნიშნა, რომ მათი საჭიროებებიდან გამომდინარე ცენტრალურ ადმინისტრაციასთან შესაბამისი მოთხოვნის დაყენებისას აქვთ დამატებითი სახსრების მიღების გარანტია, რაც ძალიან მარტივი/აპრობირებული პრაქტიკაა, თუ არსებობს საჭიროება დამატებითი სახსრების მოძიება პროგრამის განვითარებისთვის ამ შემთხვევაში ხდება მისი მოძიება და ამ თვალსაზრისით პრობლემას ვერ ხედავენ, ეს არის პრაქტიკა, რომელიც დამკვიდრებულია მათთან.
სტანდარტთან შესაბამისობის ნაწილში დეკანმა განაცხადა, რომ ის მინიმალური მოთხოვნა, რომელიც წარდგენილია, შესრულებულია და შესაძლებელია არსებობდეს ინტერპრეტაციის სხვადასხვა დიაპაზონი, რომელშიც შესაძლებელია იყვნენ წარმოდგენილნი, თუმცა მას მიაჩნია, რომ თუ სხვა ენით იყო ფორმირებული/კონსოლიდირებული შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა არის თუ არა გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული მახასიათებელი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია სხვანაირად შეხედოს ადამიანმა. მისთვის გასაგებია, რომ კითხვა არის ბუნებრივი და დასკვნაც აქედან გამომდინარე არის ფორმირებული, მაგრამ მიაჩნია, რომ როგროც საბჭოს რამდენიმე წევრმა აღნიშნა სახეზეა სტანდარტთან შესაბამისობა.
კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, დავით მაისურაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ იგი არის კორპორაციული სამართლის ცენტრის დირექტორი. კორპორაციული სამართლის ცენტრის მაგალითიდან გამომდინარე სამეცნიერო პოტენციალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბოლო წლების (2016, 2017, 2018, 2019 წლების) განმავლობაში რამდენიმე სამეცნიერო პროექტი იქნა განხორციელებული, რუსთაველის ფონდის მაგალითზე, ჰქონდათ ორი პროქტი, ერთი მათგანი ეხებოდა სახელმწიფო საწარმოებს და მათი მართვის სისტემებს, პრობლემებსა და გამოწვევებს, მეორე კი ინვესტიციების დაცვის მექანიზმებს საქართველოში. ორივე ძალიან პრობლემური საკითხია, დაახლოებით 160 000 ლარის დაფინანსება მოახერხეს მხოლოდ ამ ორი კვლევის შედეგად. საბოლოო ჯამში სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით გააკეთეს ერთი მონოგრაფია და ერთი სტატია საერთაშორისო ციტირებად ჟურნალში, აღნიშნულ ჩამონათვალში არ გააერთიანა ძალიან ბევრი შეხვედრა, მათ შორის ორი მცირე კონფერენცია, რომელიც ჩატარდა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ასევე ინვესტიციების დაცვის მექანიზმში ექსპერტად იყო კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი და სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებით ექსპერტი, ხოლო რომელმაც გააკეთა მონოგრაფიის წინასიტყვაობა იყო ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორი, თუმცა ამჟამად ვიცე რექტორი აღარ არის, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იყო სახელმწიფო საწარმოების სფეროში ჩართული და რამდენიმე სხვა

პროექტში, რომელიც ეხება რეგულირების ზეგავლენის შეფასებას, ამას ამბობს, რადგან თითოეულ ამ პროექტში მრავლად არიან აღნიშნული პროგრამის სტუდენტები. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ამ მომენტში არის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ჩართულნი არიან ბაკალავრიატის სტუდენტებიც, რომლებიც ამავდროულად არიან თანაავტორები საერთაშორისო, ინგლისურ ენაზე გამოცემული, ციტირებადი სტატიების, ასევე მონოგრაფიების. ბოლო, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ კვლევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ კიდევ ერთი უკუკავშირი მიიღეს დონორისგან, რომელიც არის რეგულირების ზეგავლენის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის რეტროსპექტული შეფასებით და ჩართული იყო ექვსი სტუდენტი სამაგისტრო პროგრამიდან.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დააზუსტა, რომ ვერ ხედავს პროფესურის კვლევით ინტერესებს, რადგან შეამოწმა რამდენიმე ლექტორის მონაცემები და არ არის აღნიშნული გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რაც პროფესორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია და მან ურჩია, რომ პუბლიკაციები იყოს ხილული, თუმცა მას ეჭვი არ ეპარება პროფესორების მიერ კვლევების განხორციელებაში, რადგან იურისტები ერთმანეთს თვალს ადევნებენ. ეს არის რეკომენდაცია, რომელსაც კარგი იქნება თუ გაითვალისწინებს დაწესებულება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს პორტალი სადაც განთავსებულია ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ, faculty.iliauni.edu.ge, სადაც ყველა პროფესორს აქვს თავისი პროფილი და ჩანს მისი შედეგები კვლევაში, სწავლებაში, პროექტებსა და ა.შ., აღნიშნული პორტალი მუდმივად ცვალებადია და ყოველ ჯერზე ხდება ინფორმაციის თავიდან შეტანა, იგივე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. პორტალი რა თქმა უნდა ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის, მაგისტრანტებისთვის, როდესაც წერენ ნაშრომს შეუძლიათ შევიდნენ პორტალზე და თავისი კვლევით ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩიონ პროფესორი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, შალვა პაპუაშვილმა საბჭოს წევრს სთხოვა დაეზუსტებინა ანკეტები ხომ არ იყო წარდგენილი, რადგან ანკეტაში არ არის წარმოდგენილი გამოქვეყნებები ცალკე დანართად არის პუბლიკაციები და ცალკეა გრანტები, შესაძლოა დოკუმენტაციაში მხოლოდ ანკეტა იყოს წარდგენილი, რომელც მხოლოდ ბიოგრაფიულ მონაცემებს მოიცავს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ თითოეულ ლექტორზე წარდგენილია ცალ-ცალკე საქაღალდე და მოლოდინი ჰქონდა რომ ნახავდა ერთნაირ CV-ებს, კვლევით ინტერესებს, პუბლიკაციებისა და კონფერენციების ჩამონათვალს, თუმცა ასეთი რამე წარმოდგენილი არ იყო, მითუმეტეს თუ უნივერსიტეტს ასეთი პორტალი აქვს, მისი ამობეჭდვა და გაზიარება მარტივი იქნებოდა, უნიფიცირებულიც იქნებოდა და ა.შ., რაც წარდგენილი ნამდვილად არ არის.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ თუ არცერთ პროფესორთან არ არის მითითებული პუბლიკაციები ეს ნიშნავს, რომ ტექნიკური ხარვეზია, რადგან პუბლიკაციის გარეშე არცერთი ლექტორი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით თვითშეფასების ფორმაში დაწესებულებას მითითებული აქვს პუბლიკაციების რაოდენობა, ალბათ უფრო ტექნიკური ნაწილია. მან გამოყო კონცეპტუალური საკითხი, დარგობრივი მახასიათებლების შესახებ რეკომენდაცია და პირველი რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის მიზანს უკავშირდებოდა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა პასუხი გაეცათ საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის კითხვისათვის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის კითხვაზე თუ რა გაკეთდა დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების შემდეგ, სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ დასძინა, რომ აპრილში დამტკიცდა დარგობრივი მახასიათებელი და შეიქმნა სამუშაო ჯგუფები მიმართულებების მიხედვით, დაწესებულებას სხვადასხვა საგანში რამდენიმე ლექტორი ჰყავს და მათი ჩართულობაც კი თვალსაჩინო იყო, დისტანციურ რეჟიმში

გაატარეს უამრავი დრო, როდესაც ამზადებდნენ აღნიშნულ პროგრამას, სილაბუსებს და ერთობლივად განიხილავდნენ სხვადასხვა შინაარსობრივ საკითხებს, რომელსაც ერთმანეთთან ათანხმებდნენ. ფუნდამენტურ ცვლილებებეთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ გააძლიერეს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი საკითხები სასწავლო კურსებში, თეორიულ კურსებში, გააძლიერეს აღნიშნული კომპონენტი, რადგან შეიმუშავეს ცალკე სასწავლო კურსები, რომლებიც პრაქტიკულ უნარებზეა ორიენტირებული, მაგ., მნიშვნელოვანი იყო, რომ მოხდა სტრუქტურული ცვლილებები პროგრამაში, დაემატა კურსები, გაიყო, გამრავალფეროვნდა არჩევითი კომპონენტის მიმართულება.

შრომის ბაზართან დაკავშირებით სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ თავის დროზე შექმნეს მრჩეველთა საბჭო სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისათვის, სადაც სხვადასხვა დამსაქმებლების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები და მათი თანამონაწილეობით კონკრეტული, ფორმალური დოკუმენტების გაფორმება ხშირ შემთხვევაში მათი თანამონაწილეობით ხდებოდა, ასევე კონკრეტული კურსის და თვითონ პროგრამის განხილვა, მაგ., სამაგისტრო საფეხურზე უფრო კარგად არის წარმოდგენა შესაძლებელი, რადგან იქ არის საუბარი თუ როგორ შემუშავდა კონკრეტული სასწავლო კურსი დამსაქმებლების თანამონაწილეობით და მათი კითხვებიდან/საჭიროებებიდან გამომდინარე. სამართალი, როგორც საბაკალავრო კომპონენტი, არის რეგულირებადი პროფესია და მისი პასუხი ეხმიანება ფუნდამენტურ/საკვანძო საკითხს, იმდენი საკითხია მითითებული დარგობრივ მახასიათებელში, რომელიც სავალდებულო კურსების სახით უნდა იყოს შეთავაზებული, რომ დაახლოებით 186 კრედიტი 240-დან არის სამართლის მიმართულების საგნები. რაც შეეხება, თვითონ კომპეტენციების რუკას, ეს არის სადემონსტრაციო/საჩვენებელი რუკა, სინამდვილეში, მთავარი არის კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და მისი თანხვედრა პროგრამის სწავლის შედეგებთან, შესაბამისად ამ სადემონსტრაციო რუკაში, რომელიც დანომრილია თანმიმდევრობით, სწავლის შედეგები: 1, 2, 3 და ა.შ. ფორმით არის წარმოდგენილი და მონიშნულია, ეს არის სადემონსტრაციო კომპონენტი, მთავარია კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლებიც არის, მაგ., „შრომის სამართლისა“ და სხვა სასწავლო კურსები შინაარსობრივად და მისი სწავლის შედეგები არის თუ არა თანხვედრაში სწავლის შედეგებთან, ეს იყო საკვანძო, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები მუშაობდნენ პროგრამაზე. მთავარი კომპონენტია აკადემიური თავისუფლება და დაწესებულების წარმომადგენლებს კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის განსაზღვრისას აქვთ აბსოლუტური თავისუფლება. ყველა კურსის შემუშავების პროცესში პედაგოგის ჩართულობა, შეიძლება დიდ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული, როდესაც სხვადასხვა ადამიანი მუშაობს კონკრეტულ სილაბუსთან და ვინმესთვის შესაძლებელია ტექნიკურად და ვიზუალურად ერთი ადამიანის მიერ დაწერილი უკეთესად ჩანდეს, მაგრამ მთავარი იდეაა, რომ თანამონაწილეობითი/ჩართულობითი იყოს და შინაარსობრივად იყოს გათვალისწინებული, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შინაარსი გადიოდეს სწავლის შედეგებზე და შესაბამისი იყოს, ამიტომ, როდესაც ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები დარგობრივ მახასიათებლის მიხედვით, ფორმულირება, რომელიც წარმოდგენილია, რომ შესაძლებელია დაწესებულებამ დამატებით განსაზღვროს, ეს მითითებული იყო აბსოლუტურად შესაძლებლობის ფარგლებში, რადგან სინამდვილეში იმდენი რამ არის გათვალისწინებული, საბჭოს წევრთან ერთად კონსტანტინე ჩოკორაიამაც ბევრი იბრძოლა, რათა ამ ფორმით ჩამოყალიბებულიყო და კიდევ უფრო დიდი მოცულობის ყოფილიყო.

სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის საკმაოდ მაღალი, მაგისტრატურაში - 93%, ხოლო ბაკალავრიატში - 80%. მან განაცხადა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს პრაქტიკასა და იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც ბაზარს გააჩნია, რისი ყველაზე კარგი ინდიკატორიც დასაქმების მაჩვენებელია, შესაბამისად ალბათ დასკვნის გაკეთება აქედან უფრო ადექვატური იქნება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ დასძინა, რომ მათ აქვთ სხვადასხვა მეთოდები შრომის ბაზრის შესასწავლად, სრულმასშტაბიანი, მთელი ბაზრის შესწავლა არ არის არც დაწესებულების მიზანი და აღნიშნული არ ხორციელდება, თუმცა მათ აქვთ სეგმენტზე ორიენტირებული უკუკავშირები, როდესაც აკეთებენ ფოკუს-ჯგუფებს, რამდენიმე წელია არსებობს ასეთი პრაქტიკა და მათთვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა ფოკუს-ჯგუფები და არა გამოკითხვები. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარები უფრო მეტ დამსაქმებელთან შეიძლება გაიგზავნოს, უკუკავშირები არის ბევრად უფრო დაბალი, ხშირად არ ივსება კითხვარები, ამიტომ აკეთებენ კონკრეტულად რომელიმე ერთ სეგმენტზე ორიენტირებულ ფოკუს-ჯგუფებს ან სიღრმისეულ ინტერვიუს, თუ კიდევ უფრო მცირე ზომის ორგანიზაციებთან აქვთ საქმე და ეს ემსახურება მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებას, არა მხოლოდ იმასთან დაკავშირებით თუ რა სჭირდება ამ პროფესიას, არამედ რა კუთხით შეიძლება ითანამშრომლონ პროგრამის ფარგლებში, ამიტომ დაწესებულებისთვის ღირებული და მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული უკუკავშირები. თუმცა, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ბაზრის საჭიროებები გამომდინარეობს არა მხოლოდ დამსაქმებლების უკუკავშირიდან, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ფოკუს-ჯგუფების სახით, არამედ ეს არის კურსდამთავრებულთა უკუკავშირებიც. დაწესებულების წარმომადგენლები კურსდამთავრებულებს ეკითხებიან არა სწავლის დასრულებისთანავე, არამედ მინიმუმ ერთი წლის შემდეგ, რასაც თავისი რაციონალური ახსნა აქვს, რომ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იმოქმედოს ბაზარზე და თავისი მოთხოვნები შეადაროს ბაზარის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე მიაწოდოს დაწესებულებას უკუკავშირის.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუები კარგია, მაგრამ მეორე მხრივ ისეთი სპეციალობა, რომელზეც საუბრობენ მათი დასაქმების არეალი უფრო მეტია. იგი დაინტერესდა რამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფოკუს-ჯგუფები, ცალ-ცალკე ადამიანთან ჩაღრმავებული ინტერვიუ არის რეპრეზენტატიული - შესაძლებელი იყოს განვრცობა შრომის ბაზარზე, რადგან ეს არ არის დეფიციტური პროფესია და რამდენად არის ვალიდურობის არგუმენტი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში პროგრამას კი არა, მთლიანად სფეროს აქვს დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც შექმნილია არა მხოლოდ აკადემიური სფეროს წარმომადგენლების, არამედ დამსაქმებლების მიერ, როგორც მისთვის ცნობილია დარგობრივ მახასიათებელზე მუშაობდა საკმაოდ დიდი და რეპრეზენტატული ჯგუფი, რომელიც მოიცავდა დამსაქმებლებსაც და მათ ჩამოაყალიბეს კონკრეტული სწავლის შედეგები, რომლებიც ჩათვალეს რომ უნდა ყოფილიყო მიღწეული. შესაბამისად, სამართლის შემთხვევაში დაწესებულებას უკვე აქვს შრომის ბაზრის დაკვეთა აკადემიური საფეხურისთვის, თუ რას სჭირდება პროგრამას, რა უნარები და რა ცოდნა სჭირდება კურსდამთავრებულს. მეორე მხრივ, დაწესებულება აკეთებს ბაზრის კვლევას, რადგან გაიგოს კონკრეტულად რა სეგმენტისგან უნდა მიიღოს უკუკავშირი, დაწესებულება ირჩევს არა ნებისმიერ დამსაქმებელს რომელთანაც თანამშრომლობს, არამედ იმის მიხედვით თუ სად არიან მათი კურსდამთავრებულები დასაქმებულნი.

სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ ისაუბრა სეგმენტური თვალსაზრისით ბმაზე, ანუ კონკრეტული მიმართულებებისა და დარგების მიხედვით. მან განაცხადა, რომ, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები განიხილავენ თითოეულ კურსს, როგორც დასაწყისში ახსენა პროგრამის მომზადებისას, ანუ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელიც დარგობრივი კუთხით იყო წარდგენილი აქცენტს აკეთებდნენ პრაქტიკოს იურისტებზე, ანუ დარგის იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით არიან ჩართულნი პრაქტიკაში, მაგ., ადვოკატები, მოსამართლეები, კომპანიის შიდა იურისტები, კორპორაციული იურისტები, ანუ ყველა ის ადამიანი, რომელიც მონაწილეობს იურიდიული პროფესიის განვითარებაში თავისი მიმართულებით, როგორც სისხლის, ასევე კერძო, საჯარო და ა.შ. ყველა ეს ადამიანი იყო პრიორიტეტი, რომ დაწესებულებას ჰყოლოდა სამუშაო ჯგუფში ჩართული, როგორც

მოწვეული ლექტორები, ასევე აკადემიური პერსონალი. მათი მონაწილეობა საგნების ფორმირებაში სახეზეა, იმ უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, რაც მათთვის პრიორიტეტული იყო, პროკურორებისთვის, სახელმწიფო ბრალმდებელებისთვის, მოსამართლეებისთვის, კერძო იურისტებისთვის და ა.შ., ანუ ბმა, რომელზეც საბჭოს თავმჯდომარე საუბრობდა არის ასახული თითოეულ სილაბუსში. დეკანი დარწმუნებულია, რომ თუ მოხდება სილაბუსების დეტალური განხილვა ის უნარები და ცოდნა, რაც არის ბაზისური და უნდა ჰქონდეს იურისტს კონკრეტული საგნის ფარგლებში, ასევე, ის უნარებიც, რომლებიც ეხმარება ცოდნის გამოყენებას არის ასახული, შესაბამისად მისი მოსაზრებით ზემოაღნიშნული ბმა სახეზეა და მისი კარგი ინდიკატორი თვითშეფასებაში ასახული დასაქმების მაჩვენებელია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგგინიძემ დააზუსტა საბჭოს წევრთან, ეკატერინე ნაცვლიშვილთან მიიღო თუ არა პასუხი კითხვაზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ვერ გაიზიარებს დაწესებულებისგან მიღებულ პასუხს და ჯობდა ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო, ვიდრე პასუხის ასეთი ინტერპრეტაცია.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ მისი პასუხი, რომელიც გულისხმობს, რომ შინაარსობრივად მთავარია საგანი და პროგრამა, შესაბამისად სადემონსტრაციო დოკუმენტში, მათ შორის ტექნიკური ხარვეზიც არის, მაგრამ მთავარი არის შინაარსობრივი და არა ფორმალური კომპონენტი.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს იმ ძირითად, მინიმალურ კომპეტენციებს, რომელიც საჭიროა კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, დაწესებულებამ დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შეიმუშავა პროგრამა და გაწერა სწავლის შედეგები, რომლებიც შესაბამისობაშია დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციებთან, პროგრამის საფუძველზე განისაზღვრა სასწავლო გეგმა, ანუ რომელი სასწავლო კურსებით უნდა დაფარულიყო ის კომპეტენციები, რომელიც დარგობრივში და შემდეგ პროგრამაში ჩაშლილია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე. დაწესებულებამ განსაზღვრა სილაბუსებში სასწავლო კურსების სწავლების მიზანი და შესაბამისად სასწავლო კურსის შედეგები, შეიმუშავა ლიტერატურა, აქტივობები და შეფასების კომპონენტები, ეს ყველაფერი შესაბამისობაში უნდა იყოს, რათა საბჭოს შეეძლოს დაწესებულებაზე ნდობა, რომ ამ სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ სტუდენტი ნამდვილად შეძლებს შედეგზე გასვლას. როდესაც დარგობრივი მახასიათებელში წერია რაღაც და გადმოტანილია პროგრამის სწავლის შედეგში, მაგრამ პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგში სხვადასხვა რამ არის აქცენტირებული, როგორ და რანაირად შეძლებს იმ სწავლის შედეგზე გასვლას არც აქტივობა აჩვენებს და არც თემატიკიდან არ ჩანს, სწორედ ამიტომ გაჩნდა კითხვა იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი, მაგ., „სანივთო სამართალი“ გადის მესამე, მეცხრე და მეთორმეტე სწავლის შედეგზე და არ გადის მეთხუთმეტეზე, ზუსტად იგივე, იდენტური სწავლის შედეგები აქვს „საკორპორაციო სამართალს“ მხოლოდ ტერმინი „საკორპორაციო სამართალი“ და „სანივთო სამართალი“ არის გადათამაშებული, ორივე შემთხვევაში აანალიზებს, იკვლევს, მაგრამ რატომღაც, მაგ., „შრომის სამართალი“ მეთხუთმეტე სწავლის შედეგზე გადის და სხვა საგნები არ გადიან ამ სწავლის შედეგზე. სწორედ ამას გულისხმობდა საბჭოს წევრის კითხვა, თუ რა პრინციპით გაკეთდა რუკა, როგორ განისაზღვრა, რომ ესა და ეს სასწავლო კურსი დარგობრივი მახასიათებლის კონკრეტულ კომპეტენციას ფარავს და პროგრამაში კონკრეტულ სწავლის შედეგს ფარავს, თუ კი სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგი აცდენაშია, მაგ., ლექციაზე თუ დააკვირდებიან დარწმუნებულია ძალიან კვალიფიციურად წარმართავენ ლექტორები სასწავლო კურსებს და ნამდვილად გავლენ იმ სწავლის შედეგზე, მაგრამ ამ ეტაპზე საბჭოს წევრი ვერ ხედავს თუ რა უნდა ჰქონდეს საბჭოს, რათა ენდოს დაწესებულებას.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ საბჭო უნდა ენდოს შინაარსს, რომელიც სილაბუსშია ჩამოყალიბებული და ასევე სწავლის შედეგებსა და მიზანს.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ სილაბუსებიდან არ ჩანს თუ რომელი სასწავლო კურსი რომელ სწავლის შედეგზე გადის, რაც მიზანშიც არის არნიშნული.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სთხოვა საბჭოს წევრს დაეზუსტებინა დასმული შეკითხვა.
საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომ საბჭოს წევრი გულისხმობდა რამდენიმე საგანს, რომელთა სასწავლო შედეგები ერთიდაიგივეა მაგრამ ცხრილში/რუკაში განსხვავებულია.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ შესაძლებელია იყოს ტექნიკური ხარვეზი, ეს არის უბრალოდ, სადემონსტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტი აკრედიტაციის პროცესისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ცხრილი/რუკა არ არის სავალდებულო.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ რუბრიკა, რომელიც პროგრამის დანართია ამ შემთხვევაში არის თუ არა მხოლოდ სადემონსტრაციოდ წარდგენილი.
სამართლის სკოლის დეკანმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს დეტალური განხილვისთვის და განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნის შესაბამისი მონაკვეთი. „სანივთო სამართალსა“ და „შრომით სამართლის“ სილაბუსების გაცნობის შემდეგ გასაგები გახდება, რომ კურსები, როგორც თემატიკის, ასევე უნარების განვითარების თვალსაზრისით, ლიტერატურის ჩამონათვალი თუ ა.შ. ყველაფერი არის შესაბამისობაში, ის რუკა რომელზეც საუბარია სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სწორად აღნიშნა, რომ იყო სადემონსტრაციო და ამ შემთხვევაში დაწესებულება მზად არის დეტალური განხილვის ფარგლებში მოაქციოს აღნიშნული მიმართულება, თუმცა მისი მოსაზრებით ექსპერტების დასკვნა არის ის ამოსავალი წერტილი, რომელზეც უნდა კონცენტრირდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე პირებს შეახსენა, რომ საბჭო არ არის შეზღუდული დასვას კითხვები წარდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრ, ანა ფირცხალაშვილის თქმით მან გადახედა „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების“ სილაბუსს, სადაც მითითებულია საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ, რომელიც დიდი ხანია აღარ მოქმედებს, შემორჩენილია თუ რატომ არის ასახული სილაბუსში, კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ აღნიშნული კანონი აღარ მოქმედებს და გაერთიანდა „ორგანულ კანონთან“, თუმცა სილაბუსში ეს გაწერილია და მისი მოსაზრებით გასათვალისწინებელი იქნება აღნიშნული რეკომენდაცია. ჯგუფი, რომელიც კითხულობს „საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას“ ისეთი დონის სპეციალისტებით არიან დაკომპლექტებული, რომელთაც არ უნდა დაეშვათ ასეთი შეცდომა, თუმცა ლექტორის კომპეტენციები უნდა ემთხვეოდეს წაკითხულ კურსს, ამ შემთხვევაში ლექტორი არის ლ. რ., რომლის CV მან ვერ იპოვა, მაგრამ რამდენად აქვს გამოცდილება ან პუბლიკაციები კონკრეტულად მართლმსაჯულების მიმართულებით. იგი დაინტერესდა ორ საკითხთან დაკავშირებით: რატომ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ და ლექტორი, რომელიც აღნიშნულ საგანს კითხულობს, რამდენად არის შესაბამისი სილაბუსთან და სფეროსთან.
სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, კონსტანტინე კუბლაშვილმა სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ტექნიკური შეცდომაა, რადგან ზემოაღნიშნული კანონი აღარ არსებობს. ზოგადად, დაწესებულებაში სილაბუსზე მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს, ამიტომ შესაძლებელია ძველიდან ჩარჩა, ან რაიმე სახის ტექნიკური ხარვეზია და სხვაგვარად ეს არ მოხდებოდა, რადგან ძალიან მაღალი იყო ჩართულობა სილაბუსის შემუშავების პროცესში, მოითხოვდნენ, რომ ბევრი რამ ჩამატებულიყო და ძალიან დაძაბული დისკუსია მიმდინარეობდა, შესაბამისად კანონის სილაბუსში ყოფნა არ გულისხმობის

დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებას, თითქოს კიდევ არსებობს აღნიშნული კანონი, ეს არის ტექნიკური პრობლემა.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ იგი მონაწილეობდა ორი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში მედიცინის მიმართულებით, რადგან მედიცინა რეგულირებადია, ამჟამად კი საბჭო მის განახლებაზე მუშაობს. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ლევან მოსახლიშვილს და აღნიშნა, რომ ეს სტანდარტები არის არა მინიმალური, არამედ ეროვნული სტანდარტები. არსებობს, ასევე, გლობალური სტანდარტებიც, როგორც მან იცის, ეს არ ნიშნავს მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილებას, ეს ნიშნავს ეროვნული სტანდარტის დაკმაყოფილებას, ამ შემთხვევაში თუ უფრო მეტ კომპეტენციაზე აქვს დაწესებულებას პრეტენზია, მედიცინის დარგობრივში ასეთი მინიშნებები არის და თუ ასეთი შემთხვევაა, საბჭო განიხილავს და შეაქვთ საუკეთესო შემთხვევაში, ამისთვის არ გასცემენ რეკომენდაციას, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერ სხვა სტანდარტზე თქვან, რომ აძლევენ რეკომენდაციას უფრო მეტი გააკეთონ, თუმცა ეს არ არის კონკრეტიკა, ეს არის ეროვნული სტანდარტის დაკმაყოფილება და არა მინიმალური ზღვარის, ძალიან ბევრი შეხვედრა ჩაატარეს უცხოელებთან, საერთაშორისო ექსპერტებთან, ასოციაციების პრეზიდენტებთან, როგორც ხდება და არსად არ არის განხილული მინიმალურ სტანდარტად. საბჭოს წევრის მოსაზრებით ეს არ უნდა იყოს განხილული მინიმალურ სტანდარტად, რადგან პროგრამა პასუხობს ეროვნულ სტანდარტს, რაც შეეხება იმას, რომ მეტი უნდა გააკეთოს ეს არის აბსოლუტურად „პრფერენციის“ საკითხი, მაშინ უნდა განეხილათ, როგორც საუკეთესო შემთხვევა, მაგრამ როგორც რეკომენდაციას საბჭოს წევრი ვერ გაიზიარებს.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დამსრე პირებს. რჩევებთან დაკავშირებით იგი დაინტერესდა, რადგან საკმაოდ დიდი ნაწილი მომხიბვლელია და პროგრამას წაადგებოდა, მაგ., სამაგისტრო პროგრამის 2.3 სტანდარტთან მიმართებაში დასმული სამივე რჩევა. ექსპერტებს ჰკითხა, მათი მოსაზრებით თუ დაწესებულება აღნიშნულ რჩევებს არ გაითვალისწინებს და ეს კომპონენტები ამ შინაარსით გაგრძელდება რამდენად წაადგება ეს პროგრამას შინაარსობრივი/ხარისხობრივი თვალსაზრისით. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, თუ რა მოსაზრება აქვთ აღნიშნული რჩევების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მოსახლიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს გამოთქმული მოსაზრებებისთვის და აღნიშნა, რომ რადგან ბევრი მათგანი ექსპერტთა ჯგუფის რჩევებში არის გათვალისწინებული, მაგ., შრომის ბაზართან დაკავშირებით მათაც აქვთ გაწერილი რეკომენდაცია, მაგრამ რჩევაშია მითითებული რომ უკეთესი იქნებოდა თუ კიდევ უფრო კარგად იქნება გაკეთებული ტექსტშიც, ისევე როგორც რჩევაში აღნიშნულ სტანდარტზე მსჯელობისას იგულისხმება, რომ შრომის ბაზრის სრულყოფილი ანალიზისთვის კარგი იქნებოდა სულ ცოტა საჯარო და კერძო სექტორის ვაკანსიების ანალიზი მანიც.
1.2 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა დარგობრივ მახასიათებელს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სამართალი არის ყველაზე ეროვნული პროფესია, რადგან იურისტები საერთაშორისო კუთხით არ არიან განებივრებული, რომ საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაცია უცხოეთშიც იყოს აღიარებული, როგორც მედიცინაშია, ამიტომ დარგობრივ მახასიათებელში მითითებულია, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრება მინიმალურ მოთხოვნებად. ასეთი ფორმულირებით არის ჩანაწერი გაკეთებული. გარდა ამისა, დაწესებულებას შეუძლია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით განსაზღვროს პროგრამის შედეგები. აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაიცა, რადგან დაწესებულებას აქვს ძალიან კარგი პროგრამა, რომელიც შეეხება, დავის ალტერნატიულ გადაწყვეტას, რომელიც დარგობრივი სტანდარტით პირდაპირ მითითებული არ არის, იქ მითითებული არის რომ ნებისმიერი დავის ალტერნატიულ გადაწყვეტის შედეგზე უნდა გავიდეს, მაგრამ ვინაიდან პროგრამას ეს

სპეციფიკა აქვს და შეიძლება გათვალისწინებული იყოს. სამაგისტრო პროგრამისთან დაკავშირებით აქვე გააკეთა კომენტარი, რომ სამაგისტრო საფეხურზეც იგივე სტილის რეკომენდაციაა გაცემული.

საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის ბიუჯეტის შესახებ მოსაზრებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ტექნიკური პრობლემა ვიზიტის დროს და შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც მისთვის უცნობია გადაეცათ თუ არა საბჭოს წევრებს. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ბიუჯეტი, რომელიც მანამდე იყო იმ ფორმატით მიწოდებული როგორც უკვე აღინიშნა და შემდეგ გამოითხოვეს ცალ-ცალკე პროგრამულად გაშლილი ბიუჯეტი, დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ რაღაც ნაწილის დაფინანსება ხდება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან, ექსპერტთა ჯგუფს რჩევაში აქვს მითითებული, რომ კარგი იქნებოდა თუ გაიზრდებოდა ბიუჯეტი, რადგან დარგობრივით არის მოცემული და ამიტომ წერია რჩევაში, რომ უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ უკეთესი იქნება თუ გაიზრდება დაფინანსება კვლევით საქმიანობაზე და მხოლოდ ხელფასები არ უნდა იყოს ძირითადი/წამყვანი. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტიდან გამოითხოვა და ინტერვიუს დროს დასვა კითხვა სხვა პროექტების შესახებ, რომელიც ბიუჯეტში არ ჩანს, მიღებული გრანტების შესახებ, უნივერსიტეტი ახლა ახორციელებს USAID/PROLoG-ის პროექტს, რომელიც მოიცავს იურიდიულ კლინიკას და ორიენტირებულია გარკვეულ ჯგუფებთან მუშაობაზე, მათი უფლებების დაცვის ნაწილზე. გამოითქვა ძალიან ბევრი შენიშვნა, იყო ძალიან ბევრი შეუსაბამობა და ტექნიკური ხარვეზი, რაც ასევე წერია დასკვნაში, რომ ტექნიკურად რაც იყო გაუმართავი აუცილებლად უნდა გასწორდეს, რადგან ბევრი საკითხი სწორედ აქედან გამომდინარეობდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მინიმალურად ცდილობდა ჩარეულიყო უნივერსიტეტის აკადემიური თავისუფლების ნაწილში და აფასებდა მხოლოდ სტანდარტებთან შესაბამისობას, ხოლო რაც შეეხება რჩევების ნაწილს დაწესებულებას აქვს მხოლოდ ორი რეკომენდაცია და 17 რჩევა, რომლებიც ზოგიერთი გაერთიანებულია, მაგ., ლიტერატურის განახლება, ეს შეიძლება ეხებოდეს რამდენიმე სილაბუსს.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აბსოლუტურად ტერმინიდან გამომდინარე რეალურად სარეკომენდაციოა დაწესებულებისთვის თავისი აკადემიური თავისუფლებიდან და მათ შორის პროცედურების დაცვის შესაბამისად აკადემიური პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად სხვადასხვა საკითხების განხილვა, კვლევებიდან ამოღებული ინფორმაციის საფუძველზე, რაც რა თქმა უნდა გარე შეფასების დოკუმენტია და მნიშვნელოვანია, რათა გადახედონ თავის პოზიციებს, განიხილონ და სხვანაირად შეხედონ, ამიტომ არის რჩევებთან დაკავშირებული საკითხი მნიშვნელოვანი.

სილაბუსებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ რჩევაში იყო ჩამოყალიბებული და მთავრი ტექნიკური საკითხია თუ როგორ არის უნივერსიტეტი მორგებული. ყოველი სემესტრის დაწყებამდე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ოფიციალურად მოეთხოვება გადახედოს სილაბუსს, რადგან ძალიან სწრაფად შეიძლება შეიცვალოს მიდგომები და კანონები, რადგან მნიშვნელოვანია ნორმატიული მასალა, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ყოველ სემესტრულად თვალი ადევნოს თუ როგორ განახლდება ლიტერატურა და თემატიკა სასწავლო კურსებში.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მის დასმულ კითხვაზე ვერ მიიღო პასუხი, თუმცა დოკუმენტაციაზე გადახედვის შემდეგ დაადგინა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც პროფესორი კითხულობს სასწავლო კურსს, მან მოიძია ლ. რ. CV, რომელიც არის სოციოლოგი და პოლიტოლოგი და დაინტერესდა, თუ როგორ შეიძლება წაიკითხოს დისციპლინა „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“ რადგან საგანი არის პრაქტიკაზე ორიენტირებული, ჩვეულებრივ იურისტსაც კი, რომელსაც არ აქვს პრაქტიკული გამოცდილება ძალიან გაუჭირდება პროცესუალური საკითხების წაყვანა, იგი დაინტერესდა თუ როგორ ასაბუთებს აღნიშნულ ფაქტს დაწესებულება.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ ლ. რ. გარდა კიდევ ორი ადამიანი უძღვება აღნიშნულ კურსს, მათ შორის იურისტიც და ლ. რ.-ის ჩართულობას კურსის სპეციფიკაც ითვალისწინებს, რადგან საკონსტუტიციო სამართალწარმოების საკითხი სხვადასხვა დონეზეა წარდგენილი, დარგობრივი მახასიათებელი ითხოვს რომ ძირითად სასწავლო კურსებში იყოს, შესაბამისად საკონსტუტიციო სამართლის კურსშია გათვალისწინებული და დაფარულია მოთხოვნები, შემდეგ კი ჩაშლილია სხვადასხვა მიმართულებით, ერთ-ერთი ეს არის ლ. რ., რომელიც ორ ადამიანთა ერთად კითხულობს მოცემულ დისციპლინას.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დაადასტურა, რომ სემინარებზე ასევე ნახა გ. ნ.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე კუსებზე მუშაობა, რომელშიც ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ლ. რ., რადგან კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები არ არის მხოლოდ ნორმატიული, ამიტომ ეს ყველაფერი გათვალისწინებულია კურსზე მუშაობისას, ასევე ქ. ე.-ის სასწავლო კურსი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ ელემენტებით არჩევით სასწავლო კურსებშია შეთავაზებული, შესაბამისად, როდესაც სტუდენტი აირჩევს არჩევით დისციპლინა თვითონ გადაწყვეტს რომელი მიმართულებით სჭირდება ცოდნის გაღრმავება.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

„კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია, რომელიც არ იმეორებდა საბაკალავრო საფეხურის რეკომენდაციებს:

2.6. სტანდარტთან მიმართებაში
მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება, - აღნიშნული რეკომენდაციაში ნაგულისხმევია მიუხედავად იმისა, რომ ყველა სილაბუსში ახსნილია შეფასების კომპონენტები, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აუცილებელია ზოგიერთ მათგანში დაკონკრეტდეს, მაგ., კერძო სამართალი ან იურიდიული კლინიკა სადაც შეფასების კრიტერიუმები და პირობები დეტალურად არ არის განმარტებული ან/და შეფასებებში

ქულების რანჟირება დიდია, ანუ ზოგი კომპონენტი ფასდება 23-დან 25 ქულამდე, 25-დან 30 ქულამდე, ამასთან დაკავშირებით დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი ვინაიდან სტუდენტები სილაბუსმა უფრო მეტად უნდა დააკმაყოფლოს და გამჭვირვალობა უფრო მაღალი იყოს, ასევე სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი ცოდნის შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე გასცა ტექნიკური ხასიათის შენიშვნა, რომელსაც საბოლოოდ რეკომენდაციის სახე არ მიუღია, ეს იყო სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი, ბუნებრივია უნდა იყოს ციტირება მოცემული და ფასდება ცალკე ქულით, თუმცა სისტემა ისეა აწყობილი თითქოს სტუდენტმა საერთოდ რომ არ მიუთითოს ციტირება გამსვლელ ქულას მაინც დააგროვებს, შესაბამისად ამ ნაწილშიც გაიცა რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მხოლოდ ორი მაგალითი მოიყვანა, რადგან ამ შემთხვევებში ყველაზე მკაფიოდ იყო გამოხატული, რომ გამჭვირვალობის სტანდარტი იყოს დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ ძირითად კომპონენტებთან დაკავშირებით არგუმენტაცია იდენტურია. დამატებით რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, არ არის საუბარი სილაბუსებში კრიტერიუმების არ ჩაშლაზე, არამედ საუბარია ქულობრივ განაწილებასა და გრადაციაზე, რომელთან დაკავშირებითაც რთულია ცალსახა/ჩამოყალიბებული პოზიცია და ჭეშმარიტება არსებობდეს. ქულების გრადაცია დაკავშირებულია კონკრეტულ კურსთან, მის შინაარსთან და სპეციფიკასთან, რადგან ხშირ შემთხვევაში აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაწესებულება ფორმალურ შესაბამისობამდე მივიდეს, სადაც ყველა ქულა 0.5 მეათედამდეა ჩაშლილი. სინამდვილეში აკადემიური პროცესის დროს ასე შეფასება წარმოუდგენელია თუ ტესტების შეტანა არ ხდება კურსზე, მითუმეტეს კერძო სამართლის სპეციფიკა, რომელი კურსებიც ნახსენები იყო, ეხება პრაქტიკულ სამუშაოს, რომლებიც ხელშეკრულების მომზადებას, წესდებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება და ეს გრადაცია აკადემიური პერსონალისთვის უნდა მიეცეს ლექტორს, მაგ., ხელშეკრულების ან წესდების მომზადების დროს, შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტა შესთავაზოს სტუდენტმა, სამეთვალყურეო საბჭოს/დირექტორი უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, რომ იქ ლიკვიდაცია/რეორგანიზაციის საკითხები აღებული იყოს სხვა კუთხით. დაწესებულების წარმომადგენლების თხოვნა ლექტორებთან ყოველთვის არის, რომ კურსების შეფასების დროს კურსის შინაარსი იყოს გათვალისწინებული.
სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება არ გულისხმობს ხელოვნურად დაყოფას, რომ თუ ადამიანს არ აქვს გამოყენებული/მითითებული წყაროები შესაძლებელია დადებითი შეფასება მიიღოს, თუ ლიტერატურა არ ექნება დამუშავებული, ე.ი. არც მიზანი, არც კვლევის მეთოდიკა და შინაარსი ექნება სწორად ჩამოყალიბებული. ამიტომ შეფასების სტრუქტურა ისეა აწყობილი, რომ ხუთი ქულა, რომელიც ციტირებას უკავშირდება, გულისხმობს იმას, თუ როგორაა შესრულებული ტექნიკურად, ხშირ შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებელია არ ჰქონდეს ციტირება სწორად მითითებული, ასევე ერთ შემთხვევაში ჯერ ნაშრომის სათაური იყოს და შემდეგ სახელი და გვარი ან პირიქით ა.შ.
კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით მაისურაძემ განაცხადა, რომ ძირითადად 3-4 ქულიანი სხვაობაა რანჟირებაში, უფრო მეტად არის პრატიკული კომპონენტი იურიდიულ კლინიკის დასკვნით გამოცდაში, სადაც მაგისტრანტს აძლევენ „ქეისს“, რომლის საფუძველზეც უნდა შეასრულოს დავალება, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ის სტანდარტები რაც უნდა დააკმაყოფილოს, თუმცა

ობიექტური/სუბიექტური ფაქტორი ერთვება იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ შეცდომაში სტუდენტს ქულა უნდა დააკლდეს, მაგრამ რაღაც კონკრეტული საკითხის კარგად ჩამოყალიბებისთვის უნდა დაჯილდოვდეს, ანუ შედარებით მაღალი ქულის დაწერის თვალსაზრისით. სხვა მხრივ თითქმის ერთ და ორ ქულიანი სხვაობით არის შეფასების რანჟირებები მინიშნებული.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო კომისიის წევრის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების საკითხში, პირობითად არის უშუალოდ ციტირებასთან დაკავშირებული საკითხი, სადაც იგულისხმება ციტირების აკადემიური სტანდარტი, რომელიც შესაძლებელია მაგ., 5 ქულით შეფასდეს, საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება 15 ქულით ფასდება, თუ სტუდენტი სხვადასხვა წყაროებს არ გაანალიზებს, არ შეადარებს სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებებს შეუძლებელია პრობლემა დაიჭიროს, სად არის „გეფი“ დარჩენილი მეცნიერულ მოსაზრებებს შორის, შემდეგი არის კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზანთან და შედეგები, დასკვნები, შეუძლებელია თითოეული კომპონენტი შეფასდეს სამეცნიერო წყაროების არსებობის გარეშე, რომელიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ციტირების ფორმით.

სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ განაცხადა, რომ ამომწურავი იყო კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის განმარტება, რომ ციტირებისა და რეფერირების წესის დაცვის გარეშე, რომელიც მითითებულია კონკრეტული ნაშრომის შეფასებისთვის, სტუდენტი ვერ მიიღებს გამსვლელ ქულას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ინტეგრირებული საკითხი, რომელიც უკვე ასახულია და აღნიშნული წარმოადგენს რჩევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამას გადახედა/გაეცნო, კონცეპტუალურად მოეწონა, კარგად არის გააზრებული და საინტერესო შედეგებზე გადის, შინაარსობრივი ნაწილი კარგად არის აგებული, რაც შეეხება მის კითხვას, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, ხომ არ უნახავთ სამაგისტრო ნაშრომები, თუ ნახეს როგორ არის შესრულებული, თუმცა აქვე განმარტა, რომ მისთვის ცნობილია ვიზიტის დისტანციურად განხორციელების შესახებ, თუმცა შესაძლებელია მიეღოთ ელექტრონული ვერსიები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომებს გაეცნენ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ არის კერძო სამართლის სპეციალისტი და ვინაიდან აღნიშნული კერძო სამართლის პროგრამა იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრი სოფიო ჩაჩავა იყო პასუხისმგებელი, რომელიც უკვე გასული იყო სხდომიდან, თუმცა მისი გადმოცემულის თანახმად, ნაშრომები იყოს საკმაოდ კარგად შესრულებული, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სამაგისტრო ნაშრომების სია და აიღეს ყველაზე მაღალი და საშუალო შეფასების მქონე ნაშრომები, სულ 6-7 ნაშრომი შეფასდა და ამ მიმართულებით კითხვები არ ჰქონდათ. ექსპერტთა ჯგუფის წევრს ჰქონდა რამდენიმე კითხვა ტექნიკურ, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ინტერვიუს დროს ამომწურავი პასუხი მიიღო, შესაბამისად ამ ნაწილის შესახებ რეკომენდაციები არ მოხვდა დასკვნაში. რაც ნიშნავს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული სამაგისტრო ნაშრომები შესაბამისობაში იყო იმ შეფასებასთან, რომელიც იყო წარდგენილი.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დააზუსტა აქვს თუ არა რამდენიმე სტუდენტს შესაძლებლობა ერთ თემაზე იმუშაონ.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის გუნდურად დაწერის საშუალება სტუდენტებს არ აქვთ.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა მათი სამაგისტრო ნაშრომები მხოლოდ კვლევითი ნაწილი და ახალი ცოდნის შექმნაა თუ უფრო პრაქტიკული ორიენტირება, რომ ბაზარზე იქნას გამოყენებული, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა დასაქმებას, თუ მათი ნაზავია.

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით მაისურაძემ განაცხადა, რომ ცდილობენ სტუდენტმა ორივე კომპონენტი დააკმაყოფილონ ნაშრომის წერის დროს, მათი მიზანია განიხილონ პრობლემური/აქტუალური საკითხები, უპასუხონ თანამედროვეობის გამოწვევებს. მისი პირადი შეხედულება არის, რომ თითქოს ზოგადად სამაგისტრო ნაშრომების ბაზარი ამოიწურა, რადგან თემები ხშირად მეორდება, ამიტომ აქცენტს აკეთებენ ინტერდისციპლინურ სამაგისტრო ნაშრომებზე, კვლევითი და პრაქტიკულია, მაგრამ კავშირშია როგორც საკორპორაციო სამართალთან, ასევე კორპორაციულ მართვასთან, საკორპორაციო სამართალთან და ფასიან ქაღალდებთან, საკორპორაციო სამართალთან და სანივთო სამართალთან და სხვა. მაქსიმალურად ცდილობენ ორიენტირი აიღონ ინტერდსციპლინური მიდგომისკენ, რადგან ამით თითქოს უფრო მეტ სიახლეს ამბობენ სფეროში.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ ნაშრომი არის აკადემიური სტანდარტების შესაბამისად შესრულებული. პრაქტიკული ხასიათის დოკუმენტებთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ დაწესებულებას ცალკე აქვს პრაქტიკული კომპონენტი, რომელშიც პრაქტიკული უნარების განვითარება ხდება, თვითონ აკადემიურ ნაშრომში კი კვლევითი ნაშრომი კეთდება პრაქტიკული გადაწყვეტილებების ანალიზით, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზით და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასწავლო პროგრამაში არის სამი ბლოკი: საკორპორაციო სამართლის ბლოკი, საერთაშორისო და შედარებითი კერძო სამართლის ბლოკი, საფინანსო სამართლის ბლოკი და არჩევითი-მედიაციის ბლოკი, სადაც წარდგენილია სხვადასხვა სილაბუსები, მან გახსნა გარკვეული სილაბუსები და ის პროფესორები, რომლებიც ჩართულნი არიან გეცნო მათ პირად საქმეებსაც. პროფესორი, რომელიც კითხულობს სამ საგანს მედიაციის პრაქტიკუმს, კონფლიქტების მართვას, მოლაპარაკებებს და მის პირად საქმეებში წარდგენილია ერთი საკონკურსო განაცხადის თავფურცელი, რომელზეც მეცნეირებათა და ხელოვნების ფაკულტეტია მითითებული, პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევის მიმართულებით და არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული საკითხით,

სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ განაცხადა, რომ მედიაციის მიმართულება მოდულის სახით არის არჩევითი და ამ მოდულის გავლის შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი სერტიფიკატი, რაც შეეხება მედიაციას, ეს არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კომპლექსური ინსტიტუტი, რომელიც ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ სისტემაში და გარდა სამართლებრივი ასპექტებისა მასში არის ძალიან დიდი ინტერდისციპლინური ელემენტი, სწორედ აქედან გამომდინარე დაწესებულებას აქვ ინტერდისციპლინური მიდგომა და ჰყავს სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის შესაბამისი პროფესორი, რომელიც ჩართულია კონფლიქტების მართვის, მოლაპარაკებების თვალსაზრისით, ეს არ არის მხოლოდ განსახილველი სკოლის პრაქტიკა, არამედ, ზოგადად მედიაცია სხვადასხვა უნივერსიტეტებში ისწავლება ამ პრინციპით. ბევრგან მონაწილეობენ ფსიქოლოგები და სხვა პროფესორები, აღნიშნული მოდული შემუშავებულია Erasmus-ის ფარგლებში და რამდენიმე უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებენ აღნიშნულ მიმართულებას. რომელშიც ჩართულია ჰოლანდიის და ლატვიის უნივერსიტეტები.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ ერთ-ერთი ლექტორი წლებია რაც დაწესებულებაში ამ მიმართულებით კითხულობს კურსებს, რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს და ჩართულია საერთაშორისო ტრენინგებში მედიაციის კუთხით, იგივე Erasmus-ის პროექტის ფარგლებში ეს ადამიანი საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისთვის იწყებს მოლაპარაკებების ტექნიკაში, იმ კურსის ფარგლებში ტრენინგებს და შემდეგ კონფლიქტების თვალსაზრისით, ამ კუთხით ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ადამიანია და სწორედ ამიტომ არის ჩართული აღნიშნულ მოდულში. პროგრამა

სტრუქტურულად ისეა აწყობილი, რომ მედიაცია, როგორც დამხმარე ელემენტი მოიცავს არასამართლებრივ საგნებს, რადგან მედიაცია მხოლოდ სამართალი არ არის და შესაბამისად ამ პროცესში ჩართულია სხვა დარგის სპეციალისტიც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ კომენტარების ნაწილი იგივე აქვს რაზეც საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უკვე ისაუბრა. მან დააზუსტა ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რადგან მშვენიერი სწავლის შედეგია ფორმულირებული, მაგ., მეთვრამეტე: გამოხატავს პატივისცემას დემოკრატიული ღირებულებებისადმი, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას, თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას, ისევ შეფასების რუბრიკას რომ შეხედა იქ აღნიშნულია, რომ თუ სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი არ დაწერა შესაძლებელია ამ შედეგზე ვერ გავიდეს და მეორე საგანი, რომელიც ამ შედეგზე გადის არის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე ევროკავშირთან“, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ არ გადის ამ სწავლის შედეგზე მედიაცია ან სხვა საინტერესო სასწავლო კურსები, ვერ ხედავს ლოგიკას, რა პრინციპით არის გაწერილი სწავლის შედეგები სასწავლო კურსებთან, ასეა თითქმის ყველა სწავლის შედეგთან დაკავშირებით.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, როდესაც დარგობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა მუშაობა მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე სწავლის შედეგები ეს არის ავტონომიურობა-პასუხისმგებლობიდან აღებული სწავლის შედეგები, რომელთან დაკავშირებითაც დარგობრივ მახასიათებელში ითქვა, რომ საერთოდ ამოეღოთ და არ დაეწერათ, რადგან ძალიან ზოგადი ხასიათის სწავლის შედეგებია, რომელსაც ჯერ საკვალიფიკაციო ჩარჩო ამბობს და შემდეგ დარგობრივი მახასიათებელი იმეორებს, საერთოდ ცენტრთან კომუნიკაციისას საუბარი იყო, რომ საერთოდ სტანდარტები არც უნდა იყოს პროგრამაში გაწერილი, ასეთი განსხვავებული დისკუსიებიც კი მიმდინარეობდა სხვადასხვა ექსპერტებს შორის, რაც შეეხება კონკრეტული საგანი რომელ სწავლის შედეგზე გადის ამ პროგრამის გუნდის ხედვაა, როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალის, რომლებიც პროგრამასა და სილაბუსებზე მუშაობდნენ, ამიტომ შესაძლებელია განსხვავებული ხედვები ჰქონდეთ დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს, ვინაიდან დემოკრატიულ საზოგადოებაში განსხვავებული ხედვები სრულიად მისაღებია. მან განმარტა, რომ თუ სტუდენტი არ გაივლის სამაგისტრო ნაშრომს ის საერთოდ ვერ დაასრულებს სწავლას, ამიტომ სამაგისტრო ნაშრომი მათ შორის ბევრ შედეგზე გადის და აუცილებელი კომპონენტია პროგრამის.
საბჭოს წევრმა განმარტა მისივე კითხვის არსი, რომ მას ეჭვი არ ეპარება სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლაში, თუმცა ვერ ხედავს ლოგიკას, შესაბამისობას, რატომ გადის ეს სასწავლო კურსი ამ კონკრეტულ შედეგზე და რატომ არ გადის ლიბერალური ღირებულებების პატივისცემაზე ან სხვა ფასეულობებზე, სადაც ისწავლება სამოსამართლო ეთიკა და სხვა, სადაც უფრო რელევანტური იქნებოდა აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევა, ვიდრე სამაგისტრო ნაშრომშია, რომელიც ყველაზე ნაკლებად რელევანტურია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ ზოგადად რუკის აგების ლოგიკა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, რუკაში აისახება მხოლოდ ძირითადად ის კომპეტენციები, რომლებიც არის კურსის პრიორიტეტები, საბოლოო ჯამში ეს ეყრდნობა პროგრამის სპეციფიკას, შესაძლებელია პროგრამის რუკა აიგოს ნებისმიერი ლოგიკით, არსებობს რუკები, სადაც არის კომპლექსური ინფორმაცია, ისიც კი რომ ხდება კურსების სამი ან ოთხდონიანი გრადაცია, რა დონით ავითარებს კონკრეტული კურსი სწავლის შედეგს, ამ შემთხვევაში საკმაოდ მარტივად არის ასახული პროგრამის ის ძირითადი სწავლის შედეგები, რომლებიც ვითარდება კონკრეტული კურსის ფარგლებში, თუმცა მხოლოდ იმ შედეგებს არ ავითარებს, მითუმეტეს თუ საუბარია ტრანსფერულ უნარებზე, თუმცა ხომ არ აისახება ყველა შედეგი, რაც იზომება და ფასდება მხოლოდ ის აისახება, შეიძლება იყოს აცდენები, თუმცა საბჭომ არ უნდა ჩათვალოს, რომ ეს აცდენა არის შინაარსობრივი, უბრალოდ

რუკის აგებას თავისი ლოგიკა გააჩნია, ამ შემთხვევაში გამოყენებულია ყველაზე მარტივი, მარტივად გასაგები ლოგიკა, რუკაში აისახება მხოლოდ ის ძირითადი შედეგები კურსის ფარგლებში, რომლებიც უკავშირდება სწავლის შედეგს, იქ მეტნაკლებად თუ სხვა რამეს ავითარებს ეს არ აისახება, ამდენად კომპლექსური რუკა არ არის. ამ შემთხვევაში მედიაცია არის არჩევითი, ამიტომ დაწესებულება ვერ გააკეთებს გათვლას ამ არჩევით კომპონენტზე, რადგან სტუდენტს განუვითარონ ის უნარები, რაც ახლაა ჩამოთვლილი, ისინი უნდა განვითარდეს სავალდებულო კომპონენტში, რომელიც არის, მაგ., სამაგისტრო ნაშრომი და ძირითად „ბენჩმარკის“ დოკუმენტში განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომი თითქმის ყველა სწავლის შედეგის შეფასებისთვის, ამ ლოგიკას ეყრდნობა რუკა.
საბჭოს წევრმა დააზუსტა არის თუ არა სავალდებულო „Public Contract“ ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი.
სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არ არის სავალდებულო.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ არ არის სავალდებულო, მაგრამ გადის აღნიშნულ სწავლის შედეგზე.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შესაძლებელია გადიოდეს. მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ რუკაში აესახათ ის ძირითადი სწავლის შედეგები, კურსის ფარგლებში, რომლებიც უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს, ყველა კურსი მხოლოდ იმ შედეგს ხომ არ უვითარებს, მაგრამ ყველა ვერ დაიწერება, რადგან არც ფასდება.
სამართლის სკოლის დეკანმა, ირაკლი ფორჩხიძემ განაცხადა, რომ პირველი „რემარკა“ რაც იყო DC1A-სთან დაკავშირებით ღრმა და ყოვლისმომცველი, ეს არის ასოციაციის შეთანხმების ნაწილი, როგროც ცნობილია და რომელ პრინციპსაც ეფუძნება ეს არის დემოკრატიულობის პრინციპი, რომელიც უმნიშვნელოვანესია მითუმეტეს ასოცირებისას და მითუმეტეს, როდესაც აღმოსავლეთ პარტნიორობას ეხება. რა თქმა უნდა ეს ამ ყველაფრის შემადგენელია და პირდაპირ უკავშირდება ამ კურსის გავლას, სტუდენტი, რომელიც სწავლობს აუცილებლად უნდა გავიდეს მოცემულ მიზანზე.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ეს არის ასოცირების ხელშეკრულების თანმდევი, რომელიც ეკონომიკურ ვალდებულებებსაც ითვალისწინებს და სამართლებრივი ნაწილიც ძალიან ბევრია.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ პირველები იყვნენ, ვინც ეს კურსი შემოიტანეს, როგორც კი თავისუფალი ვაჭრობა გაფორმდა მაშინვე დაიწყეს აღნიშნული კურსი და ჩართულნი იყვნენ ის ადამიანები, ვინც თავის დროზე მუშაობდნენ სამაგისტროზე, თუ როგორ გაიარა ავსტრიამ აღნიშნული პროცესი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:15
დასრულების დრო: 19:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, კერძოდ 4.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
ა) რეკომენდირებულია, დაზუსტდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით, იმგვარად რომ იგი ჩამოყალიბებული იყოს არა დარგობრივი მახასიათებლის იდენტურად არამედ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე
ბ) რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგების გაზომვადობის გამარტივებასთან ერთად;
გ) რეკომენდირებულია, სამომავლოდ შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდეს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების იმ კომბინაციით, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების უფრო მაღალ ვალიდურობას.
დ) რეკომენდირებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მითითებულ საკანონმდებლო ბაზა, რათა მათში არ იყოს ძალადაკარგული კანონები (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება)
ე) რეკომენდირებულია გადაიხედოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაბამისობა კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმარებით და შერჩეული იქნეს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი აკადემიურო ხარისხის, პუბლიკაციების ან/და მრავალწლიანი, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი, ადამიანის უფლებათა სამართალი).

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 ქვესტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რის შედეგადაც პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 4.1 ქვესტანდარტი კი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
ა) რეკომენდირებულია, სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.
ბ) რეკომენდირებულია, სამომავლოდ შრომის ბაზრის კვლევა ჩაატარონ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების იმ კომბინაციით, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების უფრო მაღალ ვალიდურობას.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

19:40 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს ნინო ინასარიძემ, გაიოზ ფარცხალაძემ და ანა ფირცხალაშვილმა.

3. მესამე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობ
12	კვალიფიკაციის კოდი	0321
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, ჩარგლის ქ. №73, ნაძალადევის რაიონი, ქ. თბილისი, საქართველო, 0141
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ფირალიშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 29 დეკემბერს, ვიზიტი განხორციელდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფში შედიოდა სამი წევრი: ლელა ფირალიშვილი (თავმჯდომარე), ანა ქეშელაშვილი და თათია უბერი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინფორმაციული კულტურის განხრით მუშაობს და ძალიან კარგად იცის რას ნიშნავს მასობრივი კომუნიკაცია, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა, არა მხოლოდ აქტუალური, არამედ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში, თუ დღეს რაიმე პრობლემაა მთავარი უწესოდ დალაგებული კომუნიკაციაა, ამიტომ სადოქტორო პროგრამა, რომელიც ამ ყველაფერს მეცნიერულ დონზე შეისწავლის, შექმნის ქართული სინამდვილისადმი მორგებულ ახალ ცოდნას. პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მკვლევარის მომზადება, რომელთაც კვლევის მეთოდების ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების საფუძველზე უნდა შეძლოს კომუნიკაციების თეორიების, მოდელებისა და ძირითადი ტენდენციების გააზრებით ახალი ცოდნის შექმნა. კვლევის მეთოდების სამეცნიერო ანალიზის გარდა აღნიშნულ ცოდნას პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს, პროგრამას აქტუალობას ის ფაქტი სძენს, რომ რეგიონალურ უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ მწირია იმ პედაგოგების რიცხვი, რომლებსაც აქვთ ხარისხი აღნიშნული მიმართულებით. ქართულ შრომით ბაზარს სხვა საჭიროებები აქვს, თუმცა თუ ინფორმაციულ ერაში შევა საქართველო აუცილებელი გახდება მაღალი სტანდარტების მქონე სპეციალისტები. არა მხოლოდ სასწავლო სექტორში, არამედ პროგრამაშიც მითითებულია, რომ თემები არამხოლოდ რეგიონალური სასწავლებლისთვის არის განხილული და იმიტომ არ შექმნეს მხოლოდ, მასობრივი კომუნიკაციის ახალი სტანდარტები. უცხოეთში უკვე საკმაოდ სხვა განზომილებაში გადადის, Blockchain-ის სისტემამ უფრო სხვაგვარი რეალობის წინაშე დააყენა მსოფლიო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ პირველად ნახა სილაბუსი Blockchain-ზე. სრული სადოქტორო პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიური წელზე (6 სემესტრი). პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტები წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. პროგრამა ითვალისწინებს სპეციალობის შვიდ სავალდებულო და ოთხ არჩევით კურსს (55 სავალდებულო და 5 არჩევითი კრედიტი), ასევე კვლევით კომპონენტს. სავალდებულო კურსები ძირითადად 5 და 10 კრედიტიანია. არჩევითი კურსები წარმოდგენილია ოთხი სილაბუსის სახით. პროგრამა დასრულებულად ითვლება, როდესაც სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 60 კრედიტს, შეასრულებს კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებს: კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი, 3 კოლოკვიუმის შესრულება და დაიცავს საკვალიფიკაციო შრომას.

ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 29 დეკემბერს წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვიზიტის ფორმატი განხორციელდა „ZOOM“ ტექნოლოგიით. ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სადოქტორო პროგრამის - მასკომუნიკაცია და მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს, ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად დაათვალიერა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, და მულტიმედია ცენტრი, რომელიც ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოდგენს პროგრამისთვის. კომისიამ ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
რეკომენდაციებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოში მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტებს კი არ იღებენ არამედ სხვა პროფესიის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებსაც შეუძლიათ ჩააბარონ. ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გაგზავნისთანავე პროგრამა ოპერატიულად შეიცვალა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ კურსის ფარგლებში. (ან დაემატოს არჩევითი კურსი) - მალევე შექმნეს სილაბუსი და გადაუგზავნეს ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა მათ მხოლოდ საწყისი ვერსიით შეფასების უფლება ჰქონდათ;
2. სამეცნიერო კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა - მისი მოსაზრებით დოქტორანტურა უკვე ის სივრცეა სტუდენტი რომ დაამთავრებს არ უნდა დარჩეს გაუგებარი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით;
3. გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით.
გაცემულია მხოლოდ აღნიშნული სამი რეკომენდაცია, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს და გადაუგზავნეს ექსპერტთა ჯგუფსა და ალბათ აკრედიტაციის საბჭოსაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:
1. რამდენადაც, მოთხოვნის შესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთვისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთვის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.
2. კურსის - „პროფესორის ასისტენტობა“ სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა. გარდა ამისა, სასურველია, მიეცეს სტუდენტს საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსი ან მოდული სწავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის.
3. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია, დაწესებულებამ პირველ ეტაპზე, გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ, გაუწიოს კონსულტაცია საერთაშორისო

კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული Erasmus-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
4. უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურიკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, პროგრამა გასუფთავებულია, მითუმეტეს ახალი პროგრამაა და ვერ იტყვიან როგორი კურსდამთავრებულები გაზარდეს, მაგრამ წმინდა ტექნოლოგიური და ფორმალური თვალსაზრისით პროგრამა კორექტულადაა შესრულებული, ინტერვიუებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რადგან ყველაზე კარგი სპეციალისტები ჰყავთ მიწვეულები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარინა გედევანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან წარადგინა საბჭოზე დამსწრე დაწესებულების წარმომადგენლები: ვახტანგ წივწივაძე (დამფუძნებელი და კანცლერი), კახაბერ კორძაია (რექტორი), ხათუნა კაჭარავა („მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი), ზაზა ცოტნიაშვილი და მარინა ხიზანიშვილი (პროფესორები).
მისი თქმით, ყველასთვის ცნობილია, რომ სადოქტორო პროგრამა უნივერსიტეტისთვის არ არის მომგებიანი, მაგრამ ვინაიდან მათ აქვთ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მრავალწლიანი, წარმატებული განხორციელების გამოცდილება, ორი წლის წინ წარმატებით გაიარეს სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია, რომელსაც ქვია „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“, მთელი ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციებისას და ზოგადად ამ დარგის სპეციალისტებისგან ესმით, რომ მასობრივი კომუნიკაციების სპეციალისტების სერიოზული დეფიციტია საქართველოში, აქედან გამომდინარე ჩაატარეს ბაზრის კვლევა და უნივერსიტეტის რესურსით, რადგან დაწესებულებას აქვს მარკეტინგული კვლევების ლაბორატორია, რომელიც ყველა პროგრამის შემუშავებამდე იკვლევს დასაქმების ბაზარს და ასე მოხდა ამჯერადაც ნამდვილად დაადასტურა მასობრივი კომუნიკაციის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი და მითუმეტეს ისეთი ადამიანების, რომელთაც ექნებათ კვლევისა და ანალიზის უნარები. დაწესებულებამ არ აირჩია ჟურნალისტიკის სადოქტორო პროგრამა, რადგან მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა უფრო ფართოა და მოიცავს ჟურნალისტიკას. გარდა იმისა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა და როგორც უნივერსიტეტს ევალება დაეხმაროს საზოგადოებას ამ დეფიციტის აღმოფხვრაში, შექმნან მაღალი დონის ცოდნა, რომელიც დაეხმარება აღნიშნულ დარგს, სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვანი დანიშნულება აკადემიური პერსონალის მომზადებაა, რომლებიც ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში, რაც ბაზრის კვლევამაც დაადასტურა, რომ საკმაო დეფიციტია ამ მხრივ დღეს საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით იმ სასწავლებლებში, რომლებიც ახორციელებენ მასობრივი კომუნიკაციის სფეროში შემავალ საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამებს.
მისი თქმით განსახილველი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის, რომ მათივე უნივერისტეტისთვის მოამზადონ კადრი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველა კურსდამთავრებული, რომელმაც წარჩინებით დაიცვა ნაშრომი და მაღალი ქულა დაიმსახურა ყველა დაასაქმეს უნივერსიტეტში საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურზე ლექციების წასაკითხად, ასეთი უკვე ექვსი კურსდამთავრებული ჰყავთ და ამიტომ სადოქტორო საფეხური მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან საბაკალავრო და

სამაგისტრო პროგრამა უკვე ჰქონდათ და მათი წარმატებით განხორციელება შეძლეს, სადოქტორო პროგრამით ფაქტობრივად შექმნეს კლასტერი რომელზეც დღეს განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და ევროპული განათლების ასოციაციების წარმომადგენელი უნივერსიტეტები ბევრს ლაპარაკობენ აღნიშნული კლასტერების შესახებ, შესაბამისად საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შეკრება კიდევ ერთი კლასტერი სადოქტორო პროგრამის საშუალებით და სამივე პროგრამის შეთავაზება შეეძლებათ მსურველთათვის.

სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განცხადებით მას რამდენიმე წელია ესმის, რომ სასწავლო კომპონენტი საერთოდ არ უნდა იყოს სადოქტორო პროგრამაში ან თუ იქნება, მხოლოდ 50, 60 და 80, შესაბამისად ძალიან კარგია, რომ აღნიშნული საკითხი დაარეგულირა უმაღლესი განათლების შესახებ კანონმა, რადგან პირდაპირ ჩაიწერა ფრაზა „არაუმეტეს 60 კრედიტისა“ და მათ ყველა სასწავლო კურსი წარმოადგინეს ის, რომ სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტი აქვთ, ვინაიდან აღნიშნულ პროგრამაზე იღებენ არა მხოლოდ ჟურნალისტიკის, არამედ ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, რადგან ყველას აძლევენ საშუალებას, წინაპირობებში წერია თუ რას მოითხოვენ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებისგან, სამოტივაციო წერილს, საკვლევი თემის პროექტს, დაწესებულებამ დაახლოებით წინასწარ უნდა იცოდეს რასთან დაკავშირებით სურთ კვლევა. შეიმუშავეს ძალიან კარგი სასწავლო კურსი „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“, რომელიც ძალიან საინტერესოა არა მხოლოდ ამ დარგის სპეციალობით მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის, არამედ ნებისმიერი სხვა დარგის კურსდამთავრებულთა მსურველებისათვის, რომელსაც აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა ენდომებათ.

მისი მოსაზრებით, ასევე საინტერესოა არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი, სადაც დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანი ოთხი მიმართულება, რომლებიც სპეციალისტებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაციის საფუძველზე ჩამოაყალიბეს. ეს ის ოთხი მიმართულებაა, რომელთა სერიოზული დეფიციტია და თანამედროვე პრობლემებია, Blockchain-ები, სტრატეგიული და საინფორმაციო ომები, დაწესებულება ამ არჩევითი სასწავლო კურსებით დოქტორანტს აძლევს საშუალებას გარდა იმისა, რომ ისწავლიან თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალურ პრობლემებს, ამასთანავე მათი შეხედულებისამებრ აირჩიონ სასწავლო კურსები და ჩამოყალიბდნენ რა კუთხით გააგრძელებენ კვლევას მეორე სემესტრიდან, რაშიც ზემოაღნიშნული სასწავლო კურსები ძალიან დაეხმარებათ, რათა წინასწარ იცოდნენ სად გააგრძელებენ მოღვაწეობას.

დაწესებულების წარმომადგენლების გადაწყვეტილება პროგრამის შექმნასთან დაკავშირებით გამყარებული იყო იმით, რომ ძალიან საინტერესო აკადემიური რესურსი ჰყავთ, სამი აფილირებული პროფესორი და ოთხი ასოცირებული პროფესორია ჩართული, მოწვეულია ასევე სამი პროფესორი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი არაჩვეულებრივი აქვთ და მულტიმედია ცენტრთან დაკავშირებით იქნება კითხვები იძულებულია თვითონ გასცეს პასუხი, რადგან საბჭოს წევრი ნინო ჭალაგანიძეა მულტიმედია ცენტრის სულის ჩამდგმელი და შემქმნელი კანცლერთან, ვახტანგ წივწივაძესთან ერთად.

რაც შეეხება ფინანსურ რესურსს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით ბიუჯეტი არ არის ისეთი, რომ ბევრ ამბიციებს ითვალისწინებდეს, მაგრამ აქვთ უნივერსიტეტის დიდი ბიუჯეტი, რომელსაც კანცლერი განაგებს და მას აქვს მზაობა, ნებისმიერ პროგრამას დაეხმაროს, როდესაც ამის საჭიროება გამოჩნდება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტმა განმარტა დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და წარადგინეს დოკუმენტაცია, იმის დასადასტურებლად, რომ მუშაობენ რეკომენდაციების შესრულებაზე, შესაბამისად საბჭოს წევრებს ექნებათ კითხვები აღნიშნულთან დაკავშირებითაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ აღნიშნულთან დაკავშირებით, რომ ძალიან მალე განხორციელდა ცვლილებები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა,

რომ, როდესაც ვიზიტი დასრულდა დაწესებულების წარმომადგენლებმა უკვე იცოდნენ მიგნებები, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრეს მიგნებების შესახებ და გააჟღერეს, რომ ძირითადად ეს სამი საკითხი იქნებოდა ასახული რეკომენდაციებში ამიტომ ეს არ იყო ნაჩქარევად გაკეთებული და დაჩქარებულ დროში, დაწესებულებას ამისთვის ჰქონდა ორი კვირა და სამუშაო ორ სილაბუსზე, რაც არ არის მოუსწრებადი საქმე, შესაბამისად გააკეთეს და გადააგზავნეს ექსპერტთა ჯგუფთან, ისე რომ თავდაპირველად პროექტი ჰქონდათ და მერე 5 დღე ქონდათ არგუმენტირებული პოზიციის გადასაგზავნად, საერთო ჯამში მაინც დაახლოებით სამი კვირა ჰქონდათ ამისთვის და სწრაფად/გაუაზრებლად არ გაუკეთებიათ.

„მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ხათუნა კაჭარავა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოსა და რეკომენდაციებისათვის, რომლებიც უკვე გაითვალისწინეს. მან განაცხადა, რომ იმყოფებიან ინფორმაციულ ერაში და ყალიბდება ინფორმაციული საზოგადოება, ეს არის უაღრესად მტკივნეული პროცესი, რაზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური კადრების საჭიროებაზე, ცოტა გლობალურად კი ეს არის მთელი მსოფლიოს პრობლემა, მეცნიერები ამბობენ, რომ შეიძლება აღმოვჩნდეთ უდიდესი ტალღის ქვეშ. აღნიშნული საკმაოდ რთული პროცესია, ეს პროცესები არის საკვლევი და აუცილებელია სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების მიღება. ცხადია ამ კვლევების საფუძველზე, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე არიან, რაც დაადასტურა ვიზიტმა, როდესაც კოლეგები იმყოფებოდნენ აშშ-ში, ზუსტად იგივე პრობლემებია იქაც და ზუსტად იგივე კითხვა ისმევა, თუ რა იქნება ხვალ. პასუხი კი ერთია, არ იციან რა იქნება ხვალ, ამიტომ უნდა იკვლიონ დღევანდელი მოცემულობა და აღნიშნული პროგრამის საჭიროება, გარდა იმისა, რომ დეფიციტია პედაგოგებისა და მკვლევარების.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით მისი განცხადებით ერთ-ერთი მათგანი მოიცავს, რომ უნდა გაძლიერდეს მასობრივი კვლევისა და ანალიზის კურსი სხვადასხვა თეორიებით. დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან პროგრამაზე მიდიან სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები, რომელთაც შესაძლებელია არ ქონდეთ გავლილი აღნიშნული თეორიები ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს მათი სილაბუსი გააძლიერონ თეორიებით, ესენია: საზოგადოების მოდერნიზაცია, განვითარებისა და ტექნოლოგიური დეტერმინილიზაციის თეორიები, ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლები (მეცნიერები: ერბერტ მარკუზო, თეოდორ ადორნო, იურგენ ჰაბერმასი, ზიგფრიდ კაუერი) მათი თეორიები, ასევე გამოყო ნიკლას ლუმანის საინტერესო შრომა, რომელსაც ქვია „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“, მისდამი ინტერესს განაპირობებს ის ფაქტი, რომ პირდაპირ გერმანულიდან არის ნათარგმნი და ამიტომ საშუალებას აძლევს სტუდენტებს კარგად ჩაწვდნენ არსს ამ საკმაოდ რთული თეორიული ნაშრომისა, ასევე ხაზი გაუსვა კულტურის თეორიებს, მასობრივი კომუნიკაციის სრულიად ახალ ჭრილში განხილვას კულტურის თეორიებისა და კრიტიკულ ნაშრომებს ამ თვალსაზრისით, ეს არის თეოდორ ადორნოს, ვალტერ ბენიამინისა და ზიგფრიდ კაუერის ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლები აუცილებლად უნდა იცოდნენ მათმა დოქტორანტებმა, ასევე სილაბუსი ძირითადად ეყრდნობა რიდერს, რომელიც შექმნილია დენის მაკაუელის მასობრივი კომუნიკაციის თეორიის მიხედვით, რომელიც გამოცემულია 2020 წელს, რომელიც უაღრესად თანამედროვეა, თუმცა 2020 წელს დაწერილი წიგნი ხვალ შეიძლება იყოს მოძველებული და ეს პროგრამაშიც არის გაწერილი, ასევე პროგრამა რთულია იმ თვალსაზრისით, რომ დაწესებულებას მუდმივად მოუწევს პროგრამაზე მუშაობა და მისი განახლება, რადგან ძალიან სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები, მიდგომები და არავინ იცის რა იქნება ხვალ, მას შემდეგ, რაც რთული ყოფა დასრულდება, რა გამოწვევების წინაშე იქნებიან.

მეორე რეკომენდაციის შესახებ კი პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მათ აქვთ 10 კრედიტიანი საგანი, რომელიც საშუალებას აძლევს კვირაში 4 საათი მისცენ სტუდენტს სალექციო პროცესის საშუალება, ამიტომ თვისებრივი კვლევის მეთოდებს უთმობენ დაახლოებით 8 საათს, ასევე რაოდენობრივ კვლევას.
რაც შეეხება სტატისტიკას და სტატისტიკურ ანალიზს მისი თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელსაც უთხრა, რომ დასავლეთში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ სტატისტიკას, რაც სამწუხაროდ საქართველოში არ არის და შესაძლებელია ცალკე საგნად გაიტანონ, მომავალში ამაზე იმსჯელებენ და გადაწყვეტენ როგორი საჭიროება იქნება, თუმცა სილაბუსში გააძლიერეს სტატისტიკური მეთოდების შესწავლა.

20:20 საათზე საბჭოს შემოუერთდნენ ნინო ინასარიძე და გაიოზ ფარცხალაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, მიმდინარე სადოქტორო პროგრამამ შესაძლებელია საერთაშორისო მასშტაბით არა, მაგრამ ქართულ რეალობაში კარგი მეცნიერები გაზარდოს, იგი დაინტერესა, თუ რამდენად სწორად გაიგო აღნიშნული ფრაზა. მას დარჩა განცდა, რომ პროგრამის მიზანია სიახლის შექმნა, რომელიც მხოლოდ ქართულ რეალობაზე იქნება მორგებული, თუ სწორად გაიგო, ამ შემთხვევაში დაინტერესდა ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით.
მისი მეორე კითხვა შეეხებოდა Blockchain-ებისა და მასობრივი კომუნიკაციის კავშირზე, მისი მოსაზრებით ორი განსხვავებული ტექნოლოგიის ერთმანეთთან კავშირი ვერ დაინახა სილაბუსში და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ, კონკრეტულად რას ნიშნავს და რა ცოდნას შესძენს კვლევის კუთხით სპეციალისტს, რომელსაც ეცოდინება Blockchain-ის ტექნოლოგია და ამას დამატებული მასობრივი კომუნიკაცია.
მესამე კითხვა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ნათქვამ ფრაზას ეხებოდა, რომელიც ეხებოდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, რომ შესაძლებელი განხდა 60 კრედიტზე ნაკლები სასწავლო კრედიტის მიცემა, რადგან დოქტორანტურის წამყვანი მხარე არის კვლევა და დამხმარე ფუნქცია აქვს სასწავლო კურსებს, თუმცა მაინც 60 კრედიტი შეინარჩუნა და ახორციელებს ცვლილებებს, რათა უფრო მეტი სასწავლო კურსი იქნას დამატებული, მას აინტერესებდა რა იყო ამის მოტივაცია.
მისი მეოთხე კითხვა ეხებოდა გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტებს ეცოდინებათ საინფორმაციო ომში მონაწილეობა, დაინტერესდა თუ რას გულისხმობდნენ საინფორმაციო ომში, ეს არის ინფორმაციული ომი თუ ჰაკერულ თავდასხმაზე წინააღმდეგობის გაწევის საშუალება ექნებათ.
მეხუთე კითხვა კი უკავშირდებოდა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ აღნიშნული სილაბუსის შესახებ ნათქვამს, რომ სილაბუსი ეყრდნობა თანამედროვე წიგნს და ასევე მათ განაცხადეს, რომ დოქტორანტმა ძირითადი ცოდნა რომელიმე წიგნით/რიდერით უნდა შეიძინოს და უნდა იღებდეს თუ არა ინფორმაციას სტატიებით, სამეცნიერო კვლევებით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარინა გედევანიშვილმა საბჭოს წევრს სთხოვა დაეკონკრეტებინა კითხვა 60 კრედიტთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრის განმარტებით დაწესებულების წარმომადგენელმა თვითონ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი ცვლილება შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რომ ადრე მკაცრი ვალდებულება იყო, რომ დაწესებულებას ჰქონოდა 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, ზოგიერთ პროგრამაზე წამგებიანი იყო, თუმცა საბედნიეროდ ეს ცვლილება შევიდა და აღარ არის სავალდებულო მაინცდამაინც 60 კრედიტი და ეს, მხოლოდ მაქსიმუმის ნიშნულია, შესაძლებელია 30 კრედიტი ჰქონდეს და ამის მიუხედავად განსახილველ პროგრამაში მაინც 60 კრედიტია სასწავლო კომპონენტი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა უნდა ყოფილიყო სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი თუ არა, უნდა ყოფილიყო 60, 50 თუ 80 კრედიტი, ყველა უნივერსიტეტს ჰქონდა კრედიტების განსხვავებული რაოდენობა, მას არ სურდა ხაზი გაესვა იმ ფაქტისთვის, რომ 2008 წლიდან აკრედიტაციის ექსპერტია და არაერთი პროგრამის შეფასებაში მიუღია მონაწილეობა, მან თქვა, რომ კარგია, რადგან ვეღარ იქნება აზრთა სხვადასხვაობა სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტთან მიმართებით, რადგან ჩაიწერა, რომ სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. მან გაიხსენა, რომ როდესაც პირველად შემოიტანა თვითშეფასების ანგარიში პროგრამის მოცულობა კრედიტებში ეწერა 180 კრედიტი, ცენტრის წარმომადგენელმა კი დაუხარვეზა და უთხრა, რომ უნდა დაეწერა 60, ანუ ის რაოდენობა რამდენიც მითითებულია კანონით რომ იყოს სასწავლო კომპონენტის მოცულობა. მიუხედავად ამისა დაწესებულების წარმომადგენელებმა გაასწორეს და ჩაწერეს. რას ფიქრობს ამის შესახებ კარგია თუ ცუდი ეს სხვა საკითხია, მაგრამ რაც შეეხება სასწავლო კომპონენტს, მან უკვე აღნიშნა რატომ ასწავლიან ერთ, ძალიან მნიშვნელოვან სასწავლო კურსს „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალურ პრობლემებს“, რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობა გახსნილია და არ იციან ვინ მივა, თუმცა მსურველმა უნდა გაიაროს გასაუბრება, წარადგინოს საკვლევი თემა, სამოტივაციო წერილი, ორი რეკომენდაცია დარგის ექსპერტებისგან და ა.შ., აღნიშნულ კურსში ძალიან დეტალურად არის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაემატა თეორიების სწავლება, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი კურსი გახდა, არა მხოლოდ მათთვის, ვინც ამ მიმართულებით მაგისტრატურის კურსდამთავრებულია, არამედ ყველასთვის, ვინც ამ დარგის სპეციალისტია.

მან განაცხადა, რომ დოქტორანტებთან აუცილებლად უნდა იყოს აკადემიური წერა და სწავლების თანამედროვე მიდგომები, რადგან ისინი ამზადებენ სპეციალისტებს აკადემიური სფეროსთვის, შემოიტანეს საინტერესო კურსი უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე „სამეცნიერო საქმიანობის მენეჯმენტი“, რომელსაც რექტორი კითხულობს და ძალიან საინტერესო სილაბუსი აქვს, დოქტორანტები სწავლობენ, თუ როგორ უნდა შექმნან სამეცნიერო ნაშრომები, როგორ მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში, როგორ დაბეჭდონ სტატია საერთაშორისო გამოცემებში, ასევე გადიან საგანს პროფესორის ასისტენტობა და თემატური სემინარი, ერთადერთი არჩევითი სასწავლო კურსის სახით არის წარდგენილი აღნიშნული ოთხი საგანი, ოთხი ძირითადი მიმართულება, რომელზეც ზუსტად განუსაზღვრავთ ვინ უნდა მოეწვია დაწესებულებას სხდომაზე, რადგან აფილირებული ასოცირებული პროფესორი, მარინა ხიზანიშვილი კითხულობს საგანს Blockchain-ების შესახებ, ხოლო აფილირებული პროფესორი, ზაზა ცოტნიაშვილი საინფორმაციო ომების სტრატეგიების შესახებ ისაუბრებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კიდევ ერთხელ განცხადებით მას არ უთქვამს, რომ 60 კრედიტი ცუდია, დანარჩენი 120 კრედიტი ჩაშლილია კომპონენტებად და სტუდენტი მეორე სემესტრიდან იწყებს კვლევას, მან ასევე აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო კვლევის კომპონენტი აქვთ შექმნილი, რადგან დოქტორანტი არც ერთ ეტაპზე არ იქნება უყურადღებოდ, რისი ამოკითხვაც ნებისმიერი სილაბუსიდან არის შესაძლებელი, რომლებშიც განმარტებულია, რომ თუ შეასრულა კვლევითი კომპონენტი ნებისმიერი, მეორე სემესტრში კოლოქვიუმი 1, 2, 3, პირველ დასკვნას ნამუშევრის შესახებ წერს ხელმძღვანელი, რომელიც დადებითად შეფასების შემთხვევაში უფლებას აძლევს დოქტორანტს გააკეთოს თავისი ნაშრომის პრეზენტაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში (ისინი აფასებენ არა ქულებით, არამედ სიტყვიერად) მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭება დოქტორანტს ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს საბჭოს წევრის კითხვა, თუ რა იყო მოტივაცია კრედიტებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არანაირი მოტივაცია არ ჰქონია, ის რაც აუცილებლად უნდა გათვალისწინებულიყო სასწავლო კომპონენტში ამან განაპირობა კრედიტების რაოდენობა, რომლებმაც ერთად შეადგინა 60 კრედიტი და შეესაბამება კანონში

არსებულ ჩანაწერს. მისი თქმით არცერთ სხვა პროგრამაში, რომელიც აქამდე ფუნქციონირებდა არასდროს გაცდენილან 60 კრედიტს, ჰქონდათ 60 სასწავლო და 120 კვლევითი კომპონენტი, რომელიც მხოლოდ დაცვის შემთხვევაში მიენიჭება დოქტორანტს, როდესაც მიენიჭება ხარისხი.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი აკადემიურ წერასთან დაკავშირებით დაინტერესდა მაგისტრატურაშიც ასწავლიან თუ არა იგივე საგანს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აკადემიური წერის სილაბუსს აწერია „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“, ხოლო მაგისტრატურაში არ ისწავლება იგივე სილაბუსით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ეს არ არის არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო დონის აკადემიური წერის სილაბუსი.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საბჭოს წევრები გაეცნენ წარდგენილ დოკუმენტაციას და მათი უფლებამოსილების ფარგლებში აქვთ უფლება დაუსვან დამაზუსტებელი კითხვები. მან სიტყვა გადასცა საბჭოს წევრებს, რომელთაც სურდათ კითხვის დასმა.

საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის განმარტებით მისი კითხვა გულისხმობდა თუ რა იყო განსხვავებული აკადემიური წერის სადოქტორო და სამაგისტრო სილაბუსებს შორის, რა კომპონენტებს ამატებენ სადოქტოროზე. მას არ ჰქონდა მაგისტრატურის სილაბუსი და დასვა კითხვა, თუ რა არის დამატებული დოქტორანტურის სილაბუსში.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, რაკი ყველაფერზე ითქვა, რომ ახალი პროგრამაა და როდესაც ახალი პროგრამა იგეგმება სხვადასხვა საჭიროებებია, რომლებიც უნდა მოიკვლიონ, როგორც შიდა ასევე, გარე. პროგრამის აქტუალობაში უწერიათ, რომ გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება სადოქტორო პროგრამების მიმართულებით და დასკვნაში ექსპერტებსაც ჰქონდათ გაწერილი, რომ მოხდა დისტანციური შეხვედრა. საბჭოს წევრის თქმით ჩამოთვლილ დოკუმენტაციაში არც ანალოგების, არც „ბენჩმარკის“ სახით არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია და დაინტერესდა რა გაკეთდა ამ კუთხით, რას შეადარეს და რა საუკეთესო პრაქტიკა გაიზიარეს, რაც მნიშვნელოვანია მეხუთე სტანდარტისთვის. მათ აქვთ დათქმა, რომ რეგიონალურ უნივერსიტეტებთან გააგრძელებენ თანამშრომლობას და საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა სახით გააგრძელებენ მას, საუბარია საერთაშორისო დონეზე.

საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ რაკი დისტანციურად მოხდა ვიზიტი იყო თუ არა ნახსენები ლაბორატორია, მედიაცენტრი, არის თუ არა კვლევების შესაბამისი, როგორ დაათვალიერეს, ჰქონდათ თუ არა ამის შესაძლებლობა და თუ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რათა ჩატარდეს კვლევა ამ დოქტორანტებისთვის.

სასაწავლო კომპონენტის რაოდენობასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა 60 კრედიტი და სასწავლო გეგმაში წერია, რომ 15 კრედიტი ეთმობა პროფესორის ასისტენტობას, რომელიც ყველას გაუვლია/გაუკეთებია და არის ისეთი საგანი, რომელიც თუ პროგრამაში მიწვეული ლექტორი ჰყავთ, რომელიც მათივე დოქტორანტია და სხვა უნივერსიტეტში ასწავლიდეს, სრულიად საკმარისია წარადგინოს ცნობა, რომ სემინარების დონეზე წაუკითხავს და შესაძლებელია ეს ჩაეთვალოს სასწავლო კომპონენტში, თუ რა თქმა უნდა ინსტიტუციის დებულებაშია გაწერილი, ამიტომ შესაძლებელია კრედიტების რაოდენობა ყოფილიყო ბევრად ნაკლები და სასწავლო კომპონენტის მოცულობა არ შემცირდებოდა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ ყოველთვის უხარია ახალი სადოქტორო პროგრამის გასვლა აკრედიტაციაზე და მას ჰქონდა რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა:

მისი თქმით სასწავლო პროგრამაზე სწავლების პერიოდი გაწერილია, რომ არის მინიმუმ სამი წელი და დაინტერესდა რა არის მაქსიმუმი, რითი განისაზღვრება და რა ბერკეტი აქვს დაწესებულებას რათა უსასრულოდ არ გაიწელოს პროგრამა.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ რამდენჯერმეა ნახსენები ფრაზა, სტუდენტები შეძლებენ სტატიების გამოქვეყნებას, კონფერენციებში მონაწილეობას და ა.შ. დაინტერესდა არის თუ არა რაიმე სტანდარტი და ვინ აკონტროლებს სად გამოაქვეყნებს და როგორ.
დაწესებულების მიერ ერთ-ერთ საგანში თეორიების დამატებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა ინსტიტუცია დათანხმდა და ამატებს, იმ მაგისტრისთვის, რომელსაც დამთავრებული აქვს ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაცია, ხომ არ იქნება გამეორება სადოქტორო საფეხურზე იმისი, რაც უკვე ისწავლა სამაგისტრო დონეზე, ხომ არ ჯობია აღნიშნული კურსი გაიაროს მან ვინც სხვა სპეციალობიდან შემოვიდა სადოქტოროზე.
აფილირებულ, ასოცირებულმა პროფესორმა, მარინა ხიზანიშვილმა განაცხადა, რომ მას სურს უპასუხოს კითხვას Blockchain-ის სილაბუსის თაობაზე, აღნიშნული კურსის სახელია „Blockchain-ის თაობის სოციალური მედიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“, ზოგადად Blockchain მისი კვლევის სფეროა და ძალიან ფართოა, ყველა დარგი დღეს იღებს „ბენეფიტებს“ Blockchain-ის ტექნოლოგიებიდან, აღნიშნული სილაბუსის მიზანია შეასწავლოს მხოლოდ სოციალური მედიის მიმართულებით „ბენეფიტები“, რომლებსაც იღებს საზოგადოება Blockchain-ის ტექნოლოგიის საშუალებით, სილაბუსში განხილულია ოთხი ყველაზე მაღალ რეიტინგული Blockchain-ზე დაფუძნებული სოციალური მედია საიტი და აქცენტი ისმევა იმ განსხვავებაზე სტანდარტული სოციალური მედიის საიტებიდან, თუ რა სარგებელს მიიღებს საზოგადოება Blockchain-ზე დამყარებული სოციალური მედიის საიტებიდან, როგორ ხდება რეიტინგების დათვლა, ნდობის რეიტინგების მოპოვება და როგორ იფილტრება სანდო ინფორმაცია. რაც შეეხება, კვლევასა და ანალიზს თვითონ Blockchain-ზე დაფუძნებული სოციალური მედიის საიტები ისე არის კონსტრუირებული, რომ თვითონვე დებს განვითარების ანალიზს, რამდენად იმატებს მათი ნდობა საზოგადოებაში, მათი მომხმარებელთა რაოდენობა და ა.შ., ასევე ამის ანალიზი და კვლევა ძალიან საინტერესოა იმის გასარკვევად რამდენად აქვთ მომავალი ასეთი ტიპის მედია საიტებს ჩვეულებრივ მედიასაშუალებებთან შედარებით.
საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ კითხვა იყო კავშირი ამ კურსის სილაბუსსა და პროგრამას შორის და რა ცოდნას მიიღებს მომავალი დოქტორანტი თუ პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს არის მომავლის სოციალური მედია.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის ყველაფერი გასაგებია და პასუხი ამომწურავი იყო.
აფილირებულმა პროფესორმა, ზაზა ცოტნიაშვილმა ისაუბრა საინფორმაციო ომების შესახებ. მან განაცხადა, რომ გულისხმობენ პროპაგანდასა და საინფორმაციო სივრცეში გაჩაღებულ საინფორმაციო ომს, კიბერშეტევები და კიბერტექნოლოგიები ცოტა სხვა სფეროა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მინდიაშვილმა განაცხადა, რომ თვითონ კითხულობს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსს, მისი თქმით ეს არის მნიშვნელოვანი სასწავლო კომპონენტი, რადგან სწორედ ამ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში სწავლობენ თუ როგორ უნდა დაგეგმონ თავისი საკვალიფიკაციო ნაშრომი, ანუ როგორ უნდა დაიგეგმოს დისერტაცია, როგორ უნდა მოძებნოს წყაროები და რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ კარგი დისერტაცია დაწერონ.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მას აინტერესებდა ტექნოლოგიურად დაგეგმვის თვალსაზრისით სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომი მათ შორის სხვაობად რა მიაჩნიათ, რადგან სამაგისტრო საფეხურზეც სჭირდებათ კვლევის დაგეგმვა, წყაროების მოძიება და სხვა. მაგ., ტექნოლოგიურად ციტირებაში განსხვავება არ არის, ორივე საფეხურის სტუდენტი ერთნაირად აკეთებს ციტირებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძირითადი სხვაობა არის, თუ სტრუქტურულ ერთეულებს ჩაეჭიდებიან ბუნებრივია სამაგისტრო ნაშრომიც არის საკვალიფიკაციო ნაშრომი, როგორც დისერტაცია, თუმცა ერთნაირია სტრუქტურული

მახასიათებლები, მაგრამ დისერტაცია განსხვავდება სამაგისტრო ნაშრომისგან, მისი შესავლის ნაწილითაც, რადგან უფრო ღრმა მიდგომებია საჭირო, ამის მიუხედავად სამაგისტრო დონეზეც ისწავლება აკადემიური წერა და იქაც გადიან სტრუქტურულ მახასიათებლებს და გარკვეულწილად შესაძლებელია მეორდებოდეს საკითხები, მაგრამ საკვალიფიკაციო ნაშრომის მნიშვნელობიდან გამომდინარე მეტად უღრმავდებიან საკითხებს.

სტატიების გამოქვეყნების კონტროლთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დოქტორანტებისთვის არსებობს მინიმალური სტანდარტი, ყველა პროგრამას აქვს თავისი მინიმალური სტანდარტი და თუ დოქტორანტი ამ მინიმალურ სტანდარტს არ შეასრულებს არ იქნება დაშვებული დაცვაზე, რასაც სწორედ მისი სამსახური აკონტროლებს, მის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, დოქტორანტი უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე იღებს დოკუმენტაციას, მინიმალურ სტანდარტს გზამკვლევთან ერთად, რომელიც შედგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და გაწერილია დეტალურად ყველა კომპონენტი რა და როგორ უნდა შეასრულოს, მინიმალურ სტანდარტში კი იგულისხმება სტატიების გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და ყველა ის აქტივობა რაც მას მოეთხოვება, რაც რა თქმა უნდა კონტროლდება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, დაწესებულებას ეთანხმება იმ მოსაზრებაში, რომ დოქტორანტურის საფეხურზე რთული ჩასატარებელია მსგავსი ტიპის კვლევები, მისი კითხვა ითვალისწინებს დაწესებულების ხედვას, რადგან როგორც დოკუმენტაციაში ნახა რვა დამსაქმებელი იქნა გამოკითხული, მაშინ, როდესაც დამსაქმებლები სამ კატეგორიადაა გაყოფილი: უმაღლესი სასწავლებლები, მედია და ორგანიზაციები, იგი დაინტერესდა რამდენად მოიცვა აღნიშნულმა რვა დამსაქმებელმა მთელი სფერო და რამდენად ვალიდურად მიაჩნია კითხვები დაწესებულებას, თუმცა მეთოდსა და მეთოდოლოგიაში ხარვეზი არ არის.

ბიუჯეტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ნახა დოქტორანტურის ხარჯები, შემოსავალი ნაკლებია, თუმცა ასევე წარდგენილია მეორე, ფაკულტეტის ბიუჯეტი, საიდანაც მისი მოსაზრებით იფარება ის განსხვავება, რაც არის სადოქტორო პროგრამის შემოსავალსა და ხარჯებს შორის. საბჭოს წევრი დაინტერესდა მითითებული ბიუჯეტში რა ზომით არის გათვალისწინებული დოქტორანტების კვლევის ხელშეწყობა, თუ კი ეს არ ჩაეტია აღნიშნულ თანხებში, რა არის სხვა მექანიზმები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ წარმოდგენილი აქვს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, რომლის მეჩვიდმეტე მუხლის მეოთხე პუნქტში პირდაპირ წერია, რომ სადოქტორო პროგრამა მოიცავს არანაკლები 3 წელს და სასწავლო კომპონენტი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 60 კრედიტისა, ხოლო მეხუთე პუნქტში წერია, რომ დადგენილ ვადაში (3 წელი) სადისერტაციო ნაშრომის წარუდგენლობის შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს დაასრულოს სადოქტორო პროგრამა მომდევნო ორი წლის განმავლობაში. მეექვსე პუნქტში კი წერია, რომ დამატებითი წლის ან სემესტრის განმავლობაში დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.

პროფესორის ასისტენტობასთან დაკავშირებულ კითხვაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ ყველა კომპონენტი სასწავლო/კვლევითი წარდგენილია სილაბუსის სახით, აღნიშნული კომპონენტის აღწერაში პირდაპირ წერია პასუხი საბჭოს წევრის მიერ დასმულ კითხვაზე: „დოქტორანტი, რომელიც ამავდროულად არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ან საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მასწავლებელი, ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტი, მისთვის პროფესორის ასისტენტობა გამოიხატება სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სხვა პროფესორის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის მარტივი სახელმძღვანელოს ან დამატებითი ლიტერატურის მომზადებაში“, შესაბამისად ესეც გათვალისწინებულია.

საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის მიერ დასმულ კითხვაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა. მისი თქმით აბსოლუტურად ეთანხმება, რომ ბაზრის კვლევა არ

არის მარტივი ჩასატარებელი, ურთულესი პროცესია, ერთ-ერთ უნივერსიტეტში 2018 წელს ავტორიზაციისას მან ნახა საინტერესო ინიციატივა, რომ იკრიბებოდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და უკვეთდა ერთიან კვლევას, იქ, სადაც დარგის პროგრამაში იყო ბაზრის კვლევის ჩატარება აუცილებელი. იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ უკეთესია რაც უფრო მეტი რესპოდენტია გამოკითხული, მით უფრო სანდოა კვლევა, მაგრამ აღნიშნული კვლევა გაკეთდა უნივერსიტეტის რესურსით, მარკეტინგული ლაბორატორია მონაწილეობდა, მისი ინიციატივით მოხდა, გამოიკვლიეს მედია-კვლევითი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის გამავრცელებელი ორგანიზაციები და უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ჩამოთვლილია. მისი მოსაზრებით ამ ეტაპისთვის, რაც აინტერესებდათ ის შედეგი ნამდვილად მიიღეს, რომ დეფიციტია სპეციალისტების მასობრივი კომუნიკაციის სფეროში და უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური პერსონალის, თუმცა დაწესებულება ამით არ გაჩერდება, რადგან ყოველი წლის დასაწყისში აახლებენ აღნიშნულ კვლევებს. აკრედიტაციის საბჭოს დადებითი პასუხის შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი ორგანიზაცია და დამსაქმებელი დაემატებათ შრომის ბაზრის კვლევის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა კითხვა ბიუჯეტის განაწილებასთან, რეგიონალურ უნივერისტეტებთან თანამშრომლობასა და მედიალაბორატორიასთან დაკავშირებით.

„მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა კაჭარავამ უპასუხა, რომ როდესაც დაიწყეს პროგრამაზე მუშაობა გაეცნენ მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამებს, რომლებიც დღეს არსებობს, ამის ბაზა არის ძალიან საინტერესო, ეს არის მულტიდისციპლინური დარგი, მასობრივი კომუნიკაცია ასეთი მიმართულება თითქმის არ არის, ხშირად არის მიერთებული ფსიქოლოგიასთან, ფილოსოფიასთან და სხვა, ანუ გაერთიანებულია რამდენიმე დარგი და დღეს სამეცნიერო ტენდენციაც ასეთია სხვადასხვა დარგები ხდება მულტიდისციპლინური, ამიტომ წმინდა სახით მათი მსგავსი პროგრამა არ არსებობს. თუმცა ძალიან საინტერესო პროგრამა იპოვეს მედია კუტურის, სემიოლოგიის პრობლემები და საგნად აქვთ და იქ არის ცალკე სადოქტორო პროგრამა, თუმცა მათი პროგრამის ძირითადი საფუძველი მათი ვიზიტი აშშ-შია, რომელიც გახლდათ მედია განათლების პროგრამა და იქ საკამოდ დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ ამერიკელ კოლეგებთან ერთად, მიმდინარეობდა საუბარი, რომ საქართველოში აუცილებლად უნდა დანერგილიყო თანამედროვე პროგრამები, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე. როდესაც დაწესებულებამ დაიწყო მუშაობა აღნიშნულ პროგრამაზე ჰქონდათ მუდმივი კავშირი კოორდინატორთან დე პოლის უნივერსიტეტში, მათ ჰქონდათ საბაზისო შეხვედრები. კოორდინატორი იმყოფებოდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, პროგრამაზე ძალიან ბევრი ისაუბრეს, რის შემდეგაც იგი აპირებდა საქართველოში დაბრუნებას და პროგრამაზე მუშაობის ერთად დასრულებას, თუმცა პანდემიის გამო ვერ ჩამოვიდა, მაგრამ ოთხი დღის წინ დაწესებულებამ მიიღო ცნობა, რომ აღნიშნული პროგრამა არ სრულდება, პირიქით გრძელდება სრულიად ახალ რეჟიმში, რაც გულისხმობს რომ ინტენსიურად იქნებიან ჩართულნი, მითუმეტეს, როდესაც ამერიკელი კოლეგები აპირებენ ჩამოსვლას და დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად მუშაობას, ისინი აღფრთოვანებულნი იყვნენ დაწესებულებაში არსებული მულტიმედია ცენტრით.

ლიტერატურასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ როდესაც დაამატეს საკითხები ასევე, დაამატეს შესაბამისი ლიტერატურა, ყველგან არის მითითებული ლიტერატურის წყაროები.

რაც შეეხება დუბლირებას, რომ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე არ მოხდეს გადაფარვა, დოქტორანტურის საფეხურზე არ მეორდება საგნები რასაც მაგისტრატურის საფეხურზე ასწავლიან. კომუნიკაციის თეორიები განსხვავდება მაგისტრატუტრის საფეხურისაგან, სრულიად სხვა ცოდნას დაეუფლება დოქტორანტურის სტუდენტი და გაცილებით მაღალ დონეზე, გაცილებით უფრო რთულს, რადგან აქვთ მეცნიერთა შედარებითი თეორიები.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე დაინტერესდა, რომ როდესაც რეკომენდაციებში გადაწყდა კვლევის მეთოდების ორად გაყოფა და გაძლიერება ეს საჭიროება დაინახეს ზოგადად კვლევის მეთოდებიდან გამომდინარე, თუ ის რომ დოქტორანტი პირველ რიგში მკვლევარია და სჭირდებაკვლევის კომპონენტი, თუ ეს იყო დოქტორანტების სურვილი ინტერვიუს დროს. დუბლირების საკითხთან დაკავშირებით დააზუსტა რას ასწავლიან კვლევის მეთოდებში და რითი გაძლიერდა, რადგან დარწმუნებულია, რომ სამაგისტრო საფეხურზე აუცილებლად იქნება რაოდენობრივი/თვისებრივი კვლევის მეთოდები ნასწავლი და რატომ არ განიხილეს ის მომენტი, რომ თვითონ მეთოდების შესწავლაში რაც იგულისხმება, ქვედა საფეხურზე აეღოთ კურსები, რომელის საშუალებაც მისი ინფორმაციით აქვს დოქტორანტურის სტრუქტურას. მას არ უჩნდება იგივე კითხვა სტატისტიკურ ანალიზთან, რადგან დარწმუნებულია რომ მაგისტრატურაზე იმდენად ძლიერად ვერ ისწავლება და საჭიროებს გაძლიერებას სადოქტორო საფეხურზე, თუმცა თვისებრივ/რაოდენობრივთან დაკავშირებით დაეყრდნო თუ არა დოქტორანტების სურვილს და შედარდა თუ არა სამაგისტრო საფეხურს.
საბჭოს თავმჯდომარემ დასაქმებასა და შრომით ბაზართან დაკავშირებით განახადა, რომ წარდგენილ დოკუმენტს დეტალურად გაეცნო და არა მხოლოდ განსახილველ პროგრამასთან მიმართებით, არამედ ფაკულტეტთან მიმართებითაც იყო წარდგენილი შრომის ბაზრის კვლევა. დოკუმენტაციაში საუბარია, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს განიხილავენ განათლების სექტორში, მაგრამ ამავდროულად პროგრამის შედეგებში და ა.შ. ნათლად არის მითითებული, რომ ისინი არიან პრაქტიკოსები, ბაზრის კვლევაში წერია 2 336 აქტიური ბიზნეს სუბიექტია დასაქმებისთვის, ასევე არის 8 ორგანიზაცია, რომელშიც ერთი თავად დაწესებულებაა, 3 უნივერსიტეტი, 2 ტელევიზიაა და 1 რადიო, ასევე საუბარია, რომ მოთხოვნა დასაქმების ბაზარზე არის შემდეგ უნარებზე: მკვლევარის უნარი, სწრაფი და მოქნილი პროდუსინგი, თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ციფრულ მონაცემებთან მუშაობის უნარი. დაწესებულებას განხილული აქვს მიჩიგანის უნივერსიტეტის კვლევა იმასთან დაკავშირებით, რომ კომუნიკაცია მეოთხე ადგილზეა, როგორც მოთხოვნადი პროფესია, თუმცა საბჭოს თავმჯდომარემ მოიძია აღნიშნული კვლევა და იქ არ არის საუბარი იმაზე, რომ კომუნიკაცია, როგორც ასეთი საუნივერსიტეტო სივრცისთვის სჭირდება სპეციალისტები მსოფლიოს, ანუ განათლების სექტორში უნდა დასაქმდნენ უნივერსიტეტებში ეს დოქტორანტები და თუ კი ეს კვლევები არის, მაგრამ შედეგებში განისაზღვრება, რომ ისინი უნდა იყვნენ პრაქტიკოსი ადამიანები და იქ მოდის ციფრები. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად ვალიდურია ის კვლევა, რომელიც ჩატარდა არა საგანმანათლებლო სივრცეში იძლეოდეს იმის სარწმუნოებას, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ ბაზრის კვლევის მიხედვით დოქტორანტთა დამსაქმებლები იქნებიან: უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, მედია კვლევითი ორგანიზაციები და მასობრივი ინფორმაციის გამავრცელებელი ორგანიზაციები ანუ ძირითადად ეს ის ორგანიზაციებია, რომელთაც ამ მომენტში აქვთ დეფიციტი არა მხოლოდ პრაქტიკოსი მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტების, არამედ მკვლევარების, ანუ ადამიანების, რომელთაც აქვთ კვლევის, პროგნოზირების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების უნარი. მან განაცხადა, რომ ეს არ არის ისეთი კვლევა, როგორსაც ისურვებდნენ, მაგრამ ჩატარდა უნივერსიტეტის რესურსით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ არ დასჭირდათ ორგანიზაციის მოძიება, მაგრამ ამ ყველაფერს სტატისტიკის დეპარტამენტი უნდა აკეთებდეს, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა თუ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას აწვდიდეს ინფორმაციას დეფიციტური კადრების შესახებ. დაწესებულებამ კი ეს გააკეთა საკუთარი რესურსით და პროგრამის ამუშავების შემთხვევაში უფრო მეტ დამსაქმებელს მოიძიებენ, გააფართოებენ ბაზრის კვლევას. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, შეირჩა მსხვილი დაწესებულებები, გორის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი და სხვა, ისე რომ მოიცვეს ყველა ის სფერო, სადაც შესაძლებელია, რომ აღნიშნული პროგრამის

კურსდამთავრებული დასაქმდეს, თუმცა სამომავლოდ გააგრძელებენ აღნიშნულ კვლევას არა მხოლოდ განსახილველი პროგრამის, არამედ სხვა პროგრამების ფარგლებშიც, რადგან ეს მუდმივად აქტიური პროცესია და არ შეიძლება ერთ დღეს გაკეთდეს და შემდეგ დღეს არ გაგრძელდეს.
დაწესებულების რექტორმა, კახაბერ კორძაიამ ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წარდგენილია 2021 კალენდარული წლის ბიუჯეტი, ხოლო როდესაც მიიღებენ დოქტორანტებს, კვლევითი კომპონენტისთვის 2021 წელს ფინანსური დახმარება არ დასჭირდებათ, ეს საჭიროა მეორე-მესამე კურსზე. დაწესებულებას აქვს გამოცდილება სხვა სადოქტორო პროგრამაზე, რომ აღნიშნულ ბიუჯეტში შეაქვთ მივლინების ხარჯები, თუ ჰყავთ თანახელმძღვანელი უცხოელი ეს პრობლემა არ იქნება, თუმცა ეს ყველაფერი აღნიშნულ ბიუჯეტში არ ჩანს, რადგან ეს არის 2021 წლის ბიუჯეტი.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განაცხადა, რომ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შესახებ გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს, რაც ძალიან კარგია, პირველ რიგში მან დააფიქსირა მოწონება ასეთი საინტერესო პროგრამის მიმართ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისთვის სურს დააზუსტოს კონკრეტული საკითხი. საუბარი იყო, რომ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია და დასავლურ კვლევებში ეს აქტუალურად გამოიყენებოდა, იგულისხმებოდა, რომ საქართველოში მისი გამოყენება მეტ-ნაკლებად პრობლემურია, მაგრამ რადგან დაწესებულებამ სადოქტორო პროგრამის შექმნა გადაწყვიტა და ეს მათთვის მნიშვნელოვანია დარწმუნებულია, რომ ამ მიმართულებით იქნება აკადემიური პერსონალი, ვისაც ექნება კვლევები. მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაესახელებინათ ერთი მაინც კვლევა და შესაბამისი პუბლიკაცია, რომელიც დაარწმუნებს საბჭოს, რომ შესაბამისი კომპეტენცია ნამდვილად არის შემდეგ სადოქტორო პროგრამაშო მისი გამოყენების მიზნით.
მეორე კითხვა ეხებოდა მინიმალურ სტანდარტებს, რომელიც საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ იკითხა და პასუხი გასცეს, რომ არსებობს მინიმალური სტანდარტები და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეკონკრეტებინათ რა მოთხოვნებია სადისერტაციო ნაშრომისადმი წარდგენილი.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კვლევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გაეცნო თვითშეფასების ანგარიშს და პროგრამის განმახორციელებელი პირების მაჩვენებლები საკმაოდ კარგად ჟღერდა, იგი დაინტერესდა დაწესებულების მიერ ნახსენები საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 54, მოხსენებები, კვლევითი პროექტები - 46, ცოტა უფრო მეტი ინფორმაცია რომ მიაწოდონ საბჭოს, რამდენია გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, სკოპუსში, რას გულისხმობს სამეცნიერო პროექტები, ეს არის რუსთაველის ფონდის თუ რა პროექტებია. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ არის შესაძლებელი დამაზუსტებელი ინფორმაციის მიწოდება.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარდგენილი აქვს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები, სადაც სრულყოფილადაა მითითებული მათ მიერ გამოქვეყნებები ადგილობრივ თუ საერთაშორისო ჟურნალებში, პროექტებში მონაწილეობის ამსახველი ჩანაწერები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ. სწორედ მათი მონაცემებიდან არის სტატისტიკური ციფრები წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, ზუსტად მათი მონაცემებიდან არის დათვლილი და მისი მოსაზრებით პასუხი გაეცა ორ შეკითხვას, ასევე, დასძინა, რომ პერსონალის მონაცემებში შესაძლებელია თითოეული პროფესორის კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ეს ციფრები არ არის მოგონილი.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ მან ვერ ნახა აღნიშნულ ინფორმაცია და ამიტომ დასვა დამაზუსტებელი კითხვა.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს სურთ დარწმუნდნენ იმაში, რაც მითითებულია თვითშეფასების დოკუმენტში, დარწმუნებულია, რომ ასეთი კვლევები არსებობს, უბრალოდ სურთ დაწესებულებამ მიუთითოს ერთი კვლევა და პუბლიკაცია,

რომელსაც საბჭოს წევრები ნახავენ და დაეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში. აქ დავა არ არის კვლევები არის თუ არა ჩატარებული, საკითხი იყო დასმული, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის გამოყენება კვლევებში, რასაც დაწესებულება მიესალმება ამ კომპონენტის გაძლიერებას, საბჭოს წევრი დარწმუნებულია, რომ აკადემიური პერსონალი მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის მეთოდს იყენებს სტატიებში, მას სურს დაწესებულების წარმომადგენლებმა უთხრან ერთი საუკეთესო სტატია და ასევე, თუ სად არის გამოქვეყნებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა კაჭარავამ დუბლირებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი და სილაბუსებში გაცილებით უფრო გაძლიერებულია სადოქტორო საფეხური, ზედმიწევნით აქვთ გაწერილი ყველა ის კომპონენტი, რომელიც კვლევაში შეიძლება იყოს. იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს, ანზორ ბერიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენება, სადაც შედის ინფორმაციის დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა - SPSS, რომელიც საკმაოდ სერიოზული პროგრამაა. თუ კი დაწესებულება აღნიშნულ საგანს გაიტანს ცალკე, შესაძლებელია მოიწვიონ ლექტორი, რომელიც გაუძღვება მას და დოქტორანტი უფრო ღრმად დაეუფლება სამეცნიერო კვლევების აღნიშნულ ნაწილს.

დოქტორანტურის სამსახურის უფროსმა, ნინო მინდიაშვილმა განაცხადა, რომ მისი დარგი არის სრულიად განსხვავებული, მაგრამ სწორედ უნივერსიტეტის მცირე გრანტის ფარგლებში შეასრულა კვლევა, რომელშიც ჩართული იყო პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, მცირე გრანტი გულისხმობს ამას, როგორც ფუნდამენტურ საკითხს, რომ პროფესორებმა ჩართონ მაგისტრანტები და დოქტორანტები მათ კვლევაში და კვლევის სათაური იყო - „მცოცავი ოკუპაციის გავლენა მოსახლეობის დენადობაზე“, აღნიშნული სტატია გამოქვეყნებულია უცხოენოვან ჟურნალში Google Scholar-შია დაფიქსირებული, არ არის აბსოლუტურად სტატისტიკური კვლევა, თუმცა გარკვეული მეთოდი გამოყენებულია და საბჭოს წევრებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ მას. დოქტორანტურის სამსახურის უფროსის თქმით სტატიას საკამოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მას დაუკავშირდნენ უცხოელი კოლეგები და შესთავაზეს ერთობლივი კვლევა. მან აღნიშნა, რომ აპირებს კვლევის გაგრძელებას ამ მიმართულებით.

მინიმალურ სტანდარტთან დაკავშირებით დოქტორანტურის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შესრულებულ გზამკვლევშიც აქვთ ძალიან კარგად აღწერილი, კოლოქვიუმები, რომლებსაც ასრულებენ დოქტორანტები პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს დისერტაციის დინამიკას, მსვლელობას, პირველი თავი, მეორე თავი და მესამე თავი, აღნიშნული კოლოქვიუმების ფარგლებში ნაშრომი უნდა გამოაქვეყნონ კონკრეტულ ჟურნალებში და გაიტანონ საერთაშორისო კონფერენციაზე, რაც დაადასტურებს მათ სამუშაო პროცესს. ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებლად დოქტორანტის მიერ შესრულებული კვლევა და შესაძლებელია ხელმძღვანელთან თანაავტორობით შესრულებული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ჟურნალი არის ძალიან მაღალრეიტინგული და დოქტორანტს უჭირს დამოუკიდებლად გამოქვეყნება, ამ შემთხვევაში პროცესში ერთვება სამეცნიერო ხელმძღვანელი, დაწესებულებას აქვს ასეთი გამოცდილება, რომ ყველა პროგრამას თავისი მინიმალური სტანდარტი აქვს და მათ შორის განსახილველ პროგრამასაც, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ჩართულობა. დოქტორანტი როდესაც აბარებს პროგრამაზე იგულისხმება რომ იგი ფლობს უცხო ენას, შესაბამისად მან უნდა გამოაქვეყნოს ნაშრომები საერთაშორისო ჟურნალებში და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ფირალიშვილმა განაცხადა, რომ თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის შესახებ რეკომენდაცია გაიცა, რადგან რამდენადაც აღნიშნული პროგრამა ახალია ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვერ გაესაუბრნენ განსახილველი პროგრამის დოქტორანტებს, გაესაუბრნენ მხოლოდ მომიჯნავე სპეციალობის დოქტორანტებს, თუმცა ასე ზედმიწევნით სწავლება რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების საჭიროებას არ

წარმოადგენდა, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გასცეს რეკომენდაციად, რადგან არ არსებობს მიღების წინაპირობა, ვიზიტის ფარგლებშივე გაარკვიეს, რომ ისინი, ვისაც მაგისტრატურის საფეხურზე აქვს ეს საგანი გავლილი ამ სიღრმით არ ისწავლიან, რადგან სასწავლო კურსი იქნება არჩევითი და აირჩევენ მხოლოდ ისინი, ვისაც არ აქვს გავლილი. მისი მოსაზრებით სასურველია დოქტორანტმა ისწავლოს რაოდენობრივი, თვისებრივი და ექსპერტული კვლევები. დაწესებულების წარმომადგენლები კი დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა სილაბუსები არ დარედაქტირებულა ნაჩქარევად, რაშიც სრულიად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.
შრომის ბაზართან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საქართველოში ყველაფრის დეფიციტია და რადგანაც ამ თვალსაზრისით გარკვეულ სტანდარტებზე მომუშავე ადამიანების დეფიციტია არ გულისხმობდა, რომ მხოლოდ საქართველოსთვის მზადდება კადრები. საქართველოში მხოლოდ ჟურნალისტები მუშაობენ და მათ არ აქვთ აღნიშნული ცოდნა არც სოციოლოგიის თეორიებში და არც მეთოდოლოგიაში.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა დასძინა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამაშიც ასწავლიან სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს ბაკალავრებს და აქვთ მაგისტრატურაშიც, თუკი მათი კურსდამთავრებულები მივლენ დოქტორანტურაზე, შესაძლებელია ამ ცოდნის დეფიციტი არ ჰქონდეთ, მაგრამ გაიზიარეს რეკომენდაცია, რადგან წინაპირობა გახსნილია და დაწესებულების წარმომადგენლებმა დაუჯერეს ექსპერტთა ჯგუფს, რომლებსაც ძალიან დიდი მადლობა გადაუხადა კომპეტენტური, კეთილგანწყობილი, არაჩვეულებრივი და მშვიდი ვიზიტისათვის. მან საბჭოს წევრს, ანზორ ბერიძეს უპასუხა, რომ თვითონაც დაინტერესდა ამოიკითხოს პასუხი საბჭოს წევრის კითხვაზე, თუმცა პრობლემა არასდროს არ აქვს უნივერსიტეტს სპეციალისტი მოიწვიოს გარედან, რომელიც აღნიშნულ საკითხებს ზედმიწევნით კარგად ასწავლის დოქტორანტებს, რადგან სადოქტორო პროგრამის მაღალ დონზე განხორციელება უნივერსიტეტისთვის არის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:25
დასრულების დრო: 23:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

დაწესებულების პოზიციის მოსმენის შემდგომ, საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით, აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით უზრუნველყო საკითხის შესწავლაში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართულობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო შესაბამისი დარგის დამატებითი ექსპერტის მოწვევის მიზნით.

4. მეოთხე საკითხი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

რადგან აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დიდხანს გაგრძელდა, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ მეოთხე საკითხის განხილვა გადადებულიყო შემდგომ სხდომაზე.
საბჭომ განიხილა აღნიშნული შუამდგომლობა და მიიღო გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა დაწესებულების მოთხოვნა და საკითხის განხილვა გადაწყდა 2021 წლის 4 მარტის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

მომხრე - 18
მოწინააღმდეგე - 0

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:23 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ